# შირაქი
SHIRAKI
www. open.ge
გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი
№5 (9.719)
13-20 თებერვალი 2016 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

## ილია მეორე - ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურების აქტიური წევრი

გვ.2

## „ქართული ოცნების“ კონფერენციაზე



გვ.3




გვ.3

## მცირემიწიან ფერმერთა დახმარება გრძელდება

ბესიკ ცისკარაული: „წინა წლებისგან განსხვავებით, ბარათების მოქმედების ვადა გაზრდილია. ცვლილების თანახმად, მოქალაქეებს მისი გამოყენება შეეძლებათ როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო სამუშაოების ჩასატარებლად. დანარჩენი პირობები უცვლელია.“

გვ.4

## თუ ჩვენ ვითხოვთ მოწყალებას უფლისაგან, ჩვენც უნდა ვიყოთ მოწყალენი“...



მეუფე დიმიტრი: „ყველაზე კარგი საშუალება ცოდვისაგან თავდასაღწევად არის აზრი ღმერთის არსებობის შესახებ, რომ ის ხედავს ადამიანის ფიქრს და საქმეებს და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს დამალული და დაფარული საქმეები ანუ ცოდვები. ადამიანებში არსებობს ასეთი გამონათქვამი, თუ “ადამიანები არ ხედავენ შენს დანაშაულს, ღმერთი ხომ ხედავსო”... დიახ, ღმერთი ყველაფერს ხედავს.“

## ქიზიყის სამოურავოს დროშა

გვ.5





გვ.5

## „არ მიყვარს დამარცხებული ქართველის ყურება“ – ქართული კაფე ირანში და ისპაჰანელი ქართველის ოცნება

## 14 თებერვალი - სიყვარულის დღე



გვ.8

## ახალი საგანი, რელიგია და საზოგადოების პროტესტი



გვ.6-7



C M Y K

# ილია მეორე – ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურების აქტიური წევრი



ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურების აქტიური წევრი, - ამის შესახებ დღეს საქართველოს საპატრიარქოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ განაცხადა.

უწმინდესმა საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი კრისტიან ურსე მეუღლესთან ერთად მიიღო. უწმინდესი ევროსაბჭოს ელჩს მიესალმა და ნაყოფიერი მოღვაწეობა უსურვა.

თავის მხრივ, ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა პატრიარქთან შეხვედრისას განაცხადა, რომ უწმინდესი არის მართლმადიდებელი ქვეყნის პატრიარქი და სულიერი ლიდერი, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კრისტიან ურსემ პატრიარქთან საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ იგი რუმინელი დიპლომატია და ძალიან კარგად ესმის მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და პატრიარქის მნიშვნელობა მართლმადიდებელი ქვეყნისთვის.

საუბრისას მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ევროსაბჭო პატივს ცემს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

“ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროსტრუქტურების წევრი და ძალიან მოხარული ვარ, რომ საქართველოს პატრიარქი ამას იზიარებს”, - აღნიშნა კრისტიან ურსემ.

თავის მხრივ, უწმინდესმა სიხარული გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ ელჩი რუმინეთიდანაა, რადგან რუმინეთსა და საქართველოს მჭიდრო მართლმადიდებლური ურთიერთობები აკავშირებს.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ რუმინეთში წელს ანთიმოზ ივერიელის ხსენების 300 წელი სრულდება.

“ჩვენ ჟენევაში გვქონდა შეხვედრა მის უწმინდესობასთან, რუმინეთის პატრიარქთან, მან მიმიწვია ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად და ჩვენ ვემზადებით რუმინეთში ვიზიტისათვის”, - აღნიშნა პატრიარქმა.

# ნატო საქართველოსთან ერთობლივი ძალისხმევის გასააქტიურებლად ახალ პრაქტიკულ გზებს განიხილავს

ნატო საქართველოსთან ერთობლივი ძალისხმევის გასააქტიურებლად ახალ პრაქტიკულ გზებს განიხილავს. ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

“ჩვენ ჩავატარეთ ნატო-საქართველოს კომისიის კარგი სხდომა. საქართველო უახლოვდება ნატო-ს თავისი რეფორმების წყალობით და მნიშვნელოვანი წვლილით ჩვენს საერთო უსაფრთხოებაში.

ნატო საქართველოს დახმარების ერთგულია და იმისა, რომ მან გააგრძელოს გზა ნატო-ში გაწევრიანებისკენ.

დღს ჩვვენ შევაჯამეთ ჩვენი მიღწევები. ჩვენ განვიხილავთ ახალ პრაქტიკულ გზებს ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის გააქტიურებისთვის.

საქართველო რეფორმების ამბიციური გზის ერთგულია”, - განაცხადა ნატო-ს გენერეალურმა მდივანმა.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ბრიუსელში ცოტა ხნის წინ დასრულდა.

# კონსტიტუციაში განისაზღვრება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა

ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარის, გია ვოლსკის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში განისაზღვრება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ამის შესახებ მმართველი გუნდის წევრმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, აღნიშნული საკონსტიტუციო ნორმა იქნება თუ არა ცალსახა უარყოფა ერთსქესიანთა ქორწინების, ვოლსკიმ განაცხადა, რომ “დიახ”.

“ბოლო პერიოდში გაკეთდა განცხადებები, რომ უნდა მოხდეს ინიცირება საკონსტიტუციო ცვლილების, რომ ოჯახი წარმოადგენს ქალის და მამაკაცის ერთობას და ზუსტად ის ფორმულირება, რომელიც არსებობს სამოქალაქო კოდექსში, გადატანილ იქნას საკონსტიტუციო ნორმად. ჩვენ ამის თაობაზე შარშან დავიწყეთ საუბარი. დღეს მზად გვაქვს {პროექტი} ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში. გუშინ გვიანობამდე რაღაც დეტალებს ვამუშავებდით. გარკვეული კონსულტაციები მიმდინარეობს კოალიციაში. ყველას ვთხოვთ, რომ თავი შეიკავონ ზედმეტი რადიკალიზმისგან, ზედმეტი განცხადებებისა და ამ თემის გამწვავებისგან. ამას ჭირდება საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა და დღეს თუ ხვალ ნახავს დღის სინათლეს. ბევრი ევროპული ქვეყანა სწორედაც რომ ასეთი სტანდარტით სარგებლობს, რომელსაც ჩვენ შემოგთავაზებთ. არსებობს ქვეყნები, სადაც არ არსებობს ერთსქესიანთა ქორწინება, მაგრამ არსებობს რაღაც ფორმა ურთიერთობის, რომელიც საკუთრების თემაზეა ორიენტირებული და არსებობს ზოგ ქვეყანაში დაშვებულობაც და ამისგან არავინ ქმნის დაძაბულობას”, - განაცხადა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, ეს თემა არ უკავშირდება მხოლოდ ტრადიციას და მსგავსებას ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანასთან.

“პატარა საქართველოს, რომელსაც უამრავი გამოწვევა აქვს, წინ გინდა ჩრდილოეთიდან, გინდა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან, ვალდებულია იფიქროს იმ ტრადიციაზე, რაც გააჩნია და რითაც დღემდე მოვიდა, იფიქროს იმ ურთიერთობაზე და ტოლერანტობაზე, რაც გაგვაჩნია ნებისმიერი სახის უმცირესობასთან. არ ვგულისხმობ ეროვნულ უმცირესობას, რადგან ეს გაცილებით უფრო სხვა კატეგორიაა”, - განაცხადა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, კონსტიტუციაში უკვე წერია ქალისა და ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ იმ კონტექსტში, რასაც ოჯახი ჰქვია და ხდება ამ ნორმის უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება.

“კონსტიტუციაში მეუღლეები არის აღნიშნული, მაგრამ ამ აღნიშვნასთან ერთად მითითებულია ქალისა და ბავშვის უფლებები. ეს ნორმა უფრო მკაფიო უნდა გავხადოთ და არა რაღაც ახალი შემოვიტანოთ. ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება ქვეყნისთვის, რომელსაც გარკვეული ტრადიცია გააჩნია, გარკვეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია. ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ არჩევნებამდე გამოვიდა პოზიციით, რომ ის ტრადიცია, ის კულტურული და ეროვნული მემკვიდრეობა იქნება ამოსავალი წერტილი ჩვენი მომავალი პოლიტიკური საქმიანობისა და სწორია ეს თემა”, - აღნიშნა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

# ნოდარ ხადური – ხელისუფლება ნამდვილად არ არის ჩარეული „მაესტროს“ პროცესებში

მე დარბაზში ვხედავ “მაესტროსაც” და “რუსთავი 2”-საც და ვერ ვხედავ, რომ მათზე რაიმე პოლიტიკური ზეწოლა ხდებოდეს, - ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, რომ “მაესტროს” ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე, ისევე როგორც მანამდე “რუსთავი2”-ის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში პოლიტიკურ ინტერესებზე საუბრობენ.

ხადურმა აღნიშნა, რომ მთავრობა ტელეკომპანიების ირგვლივ მიმდინარე პროცესებში ჩარეული არ არის.

“ერთი რამ შემიძლია გითხრათ ძალიან გულწრფელად, რომ ხელისუფლება ნამდვილად არ არის ჩარეული ამ პროცესებში და არანაირი ზემოქმედება არ არის. ვინ რა საკითხებით ახდენს სპეკულირებას, ეს სხვა საკითხია”, -განაცხადა ხადურმა.

# განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაცია რეგიონებშიც მოხდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაცია და აპოსტილით დამოწმება რეგიონებშიც იქნება ხელმისაწვდომი. სერვისის მიღება მოქალაქეებს იუსტიციის სახლებში შეეძლებათ.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებათა პაკეტი, რომელიც განათლების სამინისტროს და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებასა და ლეგალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას ითვალისწინებს, მთავრობამ დღეს დაამტკიცა.

მოქმედი კანონმდებლობით, განათლების სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილი და ლეგალიზაცია სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ კომპეტენციას განეკუთვნება. მოქალაქეებს ამ სერვისით სარგებლობა მხოლოდ თბილისში შეუძლიათ, რეგიონებში კი ხელმისაწვდომი არ არის.

“იუსტიციის სახლებში მომსახურების გადასვლის შემდეგ, საქართველოს ყველა რეგიონის მცხოვრებნი, სადაც იუსტიციის სახლის ფილიალები, საზოგადოებრივი ცენტრები და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები ფუნქციონირებს, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებას რეგიონიდან, ქალაქიდან და დაბიდან გაუსვლელად შეძლებენ”, - განაცხადეს იუსტიციის სამინისტროში.

მათივე განმარტებით, განათლების სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება და ლეგალიზაცია, თბილისის გარდა, შესაძლებელი იქნება იუსტიციის სახლის 15 ფილიალში და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 14 ტერიტორიულ სამსახურში. მომსახურებას ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღებენ ახალციხის, გორის, გურჯაანის, ზუგდიდის, თელავის, თიანეთის, მარნეულის, მესტიის, ოზურგეთის, რუსთავის, ფოთის, ყაზბეგის, ყვარლის, ბათუმის, ქუთაისის, ახალქალაქის, ბორჯომის, დმანისის, ვანის, კასპის, ნინოწმინდის, სენაკის, ქარელის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, წალკის, ხაშურის მაცხოვრებლები.

იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, ამ სერვისის იუსტიციის სახლებში გადატანა მნიშვნელოვნად გააადვილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის თანახმად, დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებისა და ლეგალიზაციის წესს საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, განათლებისა და იუსტიციის სამინისტროები კი შეიმუშავებენ ერთობლივ წესს, რომლითაც დამტკიცდება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისა და ლეგალიზაციისათვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების პროცედურა და პირობები.

შესაბამისი ცვლილებები შედის კანონებში: „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, აგრეთვე, საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“.

# კახა კალაძე – თელავში გაზის გაძვირება, ეს არის დისკრიმინაციული მიდგომა

„ვფიქრობ, ეს არის დისკრიმინაციული მიდგომა. ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ მოვახდინოთ ტარიფების გამოთანაბრება მთელი საქართველოს მასშტაბით, რომ თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს ერთნაირი ტარიფები“, - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, 1-ლი აპრილიდან თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 7 000-მდე აბონენტს ბუნებრივი აირის საფასური 11 თეთრით გაუძვირდება.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, გადაწყვეტილება გარკვეული სოციალური სეგმენტის დარეგულირებაზე, წინა ხელისუფლების მიერ იქნა მიღებული და გაზიფიცირების სამუშაოებში სახელმწიფოს გარდა კერძო კომპანიების ჩართვას ითვალისწინებდა.

„ეს წინა ხელისუფლების დროს მიზანმიმართულად გაკეთდა იმისთვის, რომ წახალისება მომხდარიყო გაზიფიცირების სამუშაოების, განსაკუთრებით რეგიონებისთვის, რომ არა მხოლოდ „სოკარს“ და სახელმწიფოს ეწარმოებინა სამუშაოები, არამედ კერძო კომპანიებსაც, ვისაც სურვილი ექნებოდათ. ზუსტად ეს მაგალითი გვაქვს დღეს სახეზე. სახელმწიფო და ვერც მარეგულირებელი კომისია ვერ ჩაერევა, რადგან ეს არის დარეგულირებული სეგმენტი. თუმცა, 2009 წლის შემდეგ, დღეს უკვე განსხვავებული რეალობა გვაქვს. ეს პრობლემაა არა მარტო კახეთში, არამედ სხვა რეგიონებშიც, მათ შორის, თბილისში. მაგალითად, მუხიანის დასახლებაში არის ორი ლიცენზიანტი კომპანია და აბონენტების ერთ ნაწილა აქვს უფრო დაბალი ფასი, მეორეს ნაწილს - უფრო მაღალი. ეს არის დისკრიმინაციული მიდგომა“, - განაცხადა კახა კალაძემ გურჯაანში, “ქართული ოცნების” კონფერენციის დასრულების შემდეგ.

„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ თელავის სერვის ცენტრის დირექტორის დავით ჯერმიზაშვილის განცხადებით, გაზი იმ აბონენტებს გაუძვირდებათ, რომლებმაც ბუნებრივი აირი სახლებში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შეიყვანეს. კომპანიის გადაწყვეტილებით, ერთი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასი 48-დან 59 თეთრამდე გაძვირდება.

# მცირემიწიან ფერმერთა დახმარება გრძელდება

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა გრძელდება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნიადაგის ხვნის სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება დაიწყო. ბარათები, ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს გადაეცათ, რომლის მიღებასაც მცირემიწიანი ფერმერები საკუთარი სოფლის ტერიტორიულ ორგანოში შეძლებენ.

„მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ 1 დეკემბერს დასრულდება.

პროექტით მოსარგებლეებს კი, რომელთაც მრავალწლიანი კულტურების ნარგავები გააჩნიათ, „აგრო ბარათზე“ ქულები 1 მარტიდან დაერიცხებათ.

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ მეოთხე წელია ხორციელდება. სამწლიანი სახელმწიფო პროგრამა უკვე დასრულდა, თუმცა ხელისუფლებამ მისი გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც **ქალაქ დედოფლისწყაროში გამგებლის წარმომადგენელმა** ბესიკ ცისკარაულმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, წინა წლებისგან განსხვავებით, ბარათების მოქმედების ვადა გაზრდილია. ცვლილების თანახმად, მოქალაქეებს მისი გამოყენება შეეძლებათ როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო სამუშაოების ჩასატარებლად. დანარჩენი პირობები უცვლელია.



„დასაწყისში მინდა გითხრათ, რომ გასულ წლებთან შედარებით რაოდენობა გაიზარდა და უფრო მეტი აგრობარათი მივიღეთ. გარკვეული ოჯახები გამორჩენილი იყო, ტერიტორიულმა ორგანომ აქტიურად იმუშავა სიების დაზუსტებაზე, ახალი ოჯახები დაემატა და გასწორებული სიები გადაიგზავნა. წელს სახელმწიფო პროგრამით ისეთი ოჯახებიც ისარგებლებენ, რომელთაც გასულ წელს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბარათი არ მიუღიათ. გაცემა აქტიურად მიმდინარეობს, ვისაც სურვილი აქვს, უკან აბრუნებს. სულ 1700-ზე მეტი ბარათი მივიღეთ მხოლოდ ქალაქში. აქტივობითაც კმაყოფილი ვართ, თუმცა მომავალი კვირიდან მომართვიანობის უფრო გააქტიურებას ველოდებით. ვინაიდან გასულ წელს აგრო ბარათების პროგრამა დასრულდა, წელს მოლოდინი აღარ იყო, თუმცა საბედნიეროდ, კვლავ გაგრძელდა,“ - აღნიშნავს ბესიკ ცისკარაული.

„მოვედი, რომ ვაუჩერი უკან დავაბრუნო, რადგან ნაკვეთი უფრო ადრე მქონდა მოხნული და მინდა მოგვიანებით სასუქი მივიღო. მივესალმები ამ პროგრამას, ძალიან სასარგებლო დახმარებაა გლეხებისთვის. 1,25 ჰა მიწა მაქვს, წელს ხორბალი მითესია. მეუღლე არ მყავს, მარტოხელა ქალი ვარ, შესაძლებლობა არ მაქვს დამოუკიდებლად მიწას ვუპატრონო და სახელმწიფოს დახმარებას ვგრძნობ. ბოლოს შარშანწინ მივიღე მოსავალი, გასულ წელს უფრო კარგი მოსავალი მოვიდა, მაგრამ შარშან დამუშავება ვერ მოვახერხე, არ მქონდა საშუალება და მოსავლის გარეშე დავრჩი. წელს გავიჭირვე, დავამუშავე, მაგრამ მოვა თუ არა, ღმერთმა იცის,“ - ამბობს ადგილობრივი, ლამარა გომელაური.

2013 წელს, მთავრობის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი დაიწყო. პროექტის მიზანს მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობა, პირველადი წარმოების ზრდის სტიმულირება და სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. სამწლიან პროგრამაში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის ბენეფიციარი ჩაერთო. გასულ წელს სამწლიანი პროგრამის ბოლო ეტაპი მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში საქართველოს ყველა რეგიონში მოეწყო 600-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სარეალიზაციო ობიექტი და ფერმერებს საშუალება მიეცათ, მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიძინონ მათთვის სასურველი საქონელი.

2013 წელს - აღნიშნული პროექტის ფარგლებში 710,479 ბენეფიციარმა მიიღო 190,466,914 ლარის სარგებელი. 2013 წელს პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 208,375 ჰა სასოფლო—სამეურნეო მიწის ფართობი.

2014 წელს - პროექტის ფარგლებში 757,145 ბენეფიციარმა მიიღო 69,954,923 ლარის სარგებელი. 2014 წელს პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 220,466 ჰა სასოფლო—სამეურნეო მიწის ფართობი.

2015 წელს - 767,017 ბენეფიციარისთვის 56,858,420 ლარის ღირებულების სარგებელი. 2015 წლის 18 ნოემბრის მდგომარეობით ჯამში პროექტის ფარგლებში მოხნული მიწის ფართობი შეადგენს 212,141 ჰექტარს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ჩატარდა საკრებულოს სხდომა

საქართველოს მთავრობამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 2 130 226 ლარი გამოუყო.



საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებისა და 2010 წლის 25 ივნისის N172-ე დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს 2 130 226 ლარი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოუყო.

აღნიშნული თანხა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა. საკითხს კენჭი 12 თებერვლის სხდომაზე უყარეს. თემაზე მოხსენება დედოფლისწყაროს გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა ელენე ბაიაშვილმა გააკეთა, რომელმაც დეპუტატებს დეტალურად გააცნო, რას გეგმავს თვითმმართველობა, გამოყოფილი დაფინანსებით. საბიუჯეტო ცვლილებებს საკრებულოს წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

ელენე ბაიაშვილის განმარტებით, გასულ წლებთან შედარებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროსთვის გამოყოფილი თანხა გაზრდილია.

საგზაო 1 566 100 ლარი, სკოლამდელი დაწესებულებებისთვის 293 200 ლარი, გარე განათებაზე გათვალისწინებულია 207 700 ლარი, სპორტული დარბაზების და მოედნების მშენებლობაზე 63 300 ლარი და ა.შ.

ამას გარდა, სხდომაზე დეპუტატებმა გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში ცვლილება შეიტანეს და ასევე, ცვლილებები შეიტანეს სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვისა და ანგარიშგების წესში.

# გაიმართა კონსერვატიული პარტიის კონფერენცია

2016 წლის 30 იანვარს ჩატარდა საქართველოს კონსერვატიული პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელსაც უძღვებოდა ორგანიზაციის თავმჯდომარე ნოდარ გოგილაშვილი. კონფერენციაზე მოისმინეს პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობისა და სამომავლო ამოცანების შესახებ. ანგარიში მოიცავდა როგორც პარტიის რაიონული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს, ისე ინფორმაციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ მიერ განხილული საკითხების შესახებ. ანგარიში შეფასდა დადებითად. ჩატარდა საქართველოს კონსერვატიული პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის საბჭოს არჩევნები. ორგანიზაციის თავმჯდომარედ კვლავ რჩება ბატონი ნოდარ გოგილაშვილი. ჩატარდა ასევე დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციიდან საქართველოს კონსერვატიული პარტიის მე-6 ყრილობის დელეგეტების არჩევნები. ამით კონფერენციამ მუშაობა დაასრულა.

# „ქართული ოცნების“ კონფერენციაზე

10 თებერვალს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დედოფლისწყაროს საოლქო ორგანიზაციის კონფერენცია ჩატარდა, რომელსაც ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი დავით ალუღიშვილი თავმჯდომარეობდა. სპეციალურად ამ დღისთვის დედოფლისწყაროში იმყოფებოდნენ პარტიის გენერალური მდივანი კახა კალაძე და აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე . მათ საოლქო ორგანიზაციის წევრე-






ბს სიტყვით მიმართეს და პარტიის მომავალი გეგმების შესახებ ისაუბრეს.

კონფერენციის დელეგატებმა საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ კვლავ ზვიად ჯავახიშვილი აირჩიეს, საოლქო ორგანიზაციის ბიუროს წევრებად კი - ნუგზარ პაპიაშვილი, ნიკოლოზ ხუციშვილი, გიორგი ჭინჭარაული, ქეთევან დოლიძე და გივი გიგაური. დასახელდნენ პარტიის ყრილობის დელეგატებიც: ზვიად ჯავახიშვილი, დავით ალუღიშვილი, არსენა ბაღაშვილი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ნუგზარ პაპიაშვილი, მარინე ბენაშვილი და მარინა შეითნიშვილი.

# „თუ ჩვენ ვითხოვთ მოწყალებას უფლისაგან, ჩვენც უნდა ვიყოთ მოწყალენი“...

უკვე ერთი წელია, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიას მეუფე დიმიტრი (ერისკაცობაში რამაზ კაპანაძე) უძღვას სათავეში, რომელიც საუკეთესოდ უძღვება ჩვენს ეპარქიას და საკუთარ მრევლში სახელი და პატივისცემა მოიპოვა. ალბათ, ყველას აინტერესებს, როგორი იყო მეუფე დიმიტრის ბავშვობა, რა სულიერი საზრდოთი იკვებებოდა ის, ვინ იყვნენ მისი პირველი სულიერი მამები, რას ფიქრობს იგი სხვადასხვა საკითხზე ყოველივე ამის შესახებ მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

-დაგვლოცეთ, მეუფეო.

-დაგლოცოთ უფალმა, დალოცვილები ყოფილიყავით ღვთისაგან.

**-მეუფე, სად დაიბადეთ, ვინ იყვნენ თქვენი მშობლები და რა გახსენებთ თავს ხშირად ბავშვობის მოგონებებიდან?**

-დავიბადე 1975 წლის 16 ივნისს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ხოვრითში. ის პატარა სოფელია, მაგრამ ძალიან ლამაზი. მამა ვანგერ კაპანაძე ამჟამად პენსიონერია, წლების მანძილზე სამტრედიის რკინიგზის სამონტაჟო მატარებელზე მუშაობდა. დედა-ნელი კალანდაძე წლების მანძილზე სოფელში კულტურის სახლის გამგე გახლდათ. ბავშვობაში ძალიან ცელქი ვყოფილვარ, ამის დასტურია ჩემი უამრავი ნაჭდევი სხეულზე. მყავს ოთხი და-ძმა, ერთი და მონაზონია, ჩემი ერთი ძმა ცოლშვილიანი მღვდელია ხარაგაულის რაიონში, ერთ დას და ძმას კი, მშობლიურ სოფელში ოჯახები აქვთ. იქ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

**-როდის გადაწყვიტეთ დაგეწყოთ ეკლესიური ცხოვრება და ღვთის ძიების პროცესში რა გზა გაიარეთ?**

-ღმერთი ჩემს ცხოვრებაში ჩემდა უნებურად შემოვიდა. დეიდა გვყავდა ეკლესიური ადამიანი, ქალბატონი ეთერი, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისიდან ეკლესიურად ცხოვრობდა და ხშირად გვესაუბრებოდა ღმერთზე, ის გვამარაგებდა დეფიციტური საეკლესიო ლიტერატურით მე და ჩემს და-ძმებს. გვეხმარებოდა ის გარემოებაც, რომ კითხვა არ გვეზარებოდა. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა წმინდა გიორგის ტაძარმა, რომელიც ჩემს მშობლიურ სოფელში იყო. ჩემს და-ძმასთან ერთად ხშირად ვასუფთავებდით ამ ტაძრის ეზოს და მთლიანად ტაძარს, რომლის კედლებზეც სვია და ბალახი იყო მოდებული. ჩვენ ამ ბალახისგან და სვიისგან ვათავისუფლებდით ტაძრის კედლებს. სასულიერო პირთან შეხება სკოლაშიც მქონდა. მყავდა ერთი კარგი პედაგოგი ლამარა ჭანკვეტაძე, რომელიც ეთიკის გაკვეთილების ხარჯზე ღმერთზე გვესაუბრებოდა. კვირაში ერთხელ, სოფელში მოდიოდა გიორგი სხილაძე ერისკაცი (დღეს მღვდელი), ისიც გვესაუბრებოდა უფალზე. ამ ყველაფერმა ჩემზე საკმაო გავლენა მოახდინა. აქტიური ეკლესიური ცხოვრება, აღსარების თქმა და ზიარება 1992 წელს დავიწყე,მაშინ 16 წლის ვიყავი. მოძღვარსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, კარგი მოძღვარი მყავდა ხარაგაულში, დეკანოზი ზაქარია ფერაძე, რომელიც ჩემი პირველი მოძღარი გახლდათ. ძალიან ემოციური იყო ჩემთვის ადგილობრივ მღვდელმთავარ მეუფე კონსტანტინესთან შეხვედრა. ის გვარად მელიქიძე გახლდათ.

**-როდის მიიღეთ გადაწყვეტილება, გამხდარიყავით მოძღვარი? რა პასუხისმგებლობაა იგი და რას იტყოდით დღეს საეკლესიო ცხოვრებაში არსებულ მდგომარეობაზე, რამდენადაც ცნობილია, თქვენ დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ბევრი მრევლი გყავდათ, საკმაოდ ძლიერი ეპარქია დატოვეთ. როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება აქ ჩამოსვლისას.**

-რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, არასოდეს მქონდა სურვილი მოძღვარი, გავმხდარიყავი, ჩემი სურვილი იყო, ვყოფილიყავი ბერი. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1992 წელს, მშობლების თხოვნით ჩავაბარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში ისტორიის ფაკულტეტზე, პარალელურად ჩემი სურვილით და მშობლების ნებართვის გარეშე ვსწავლობდი ახალციხის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სწავლის დროს ვცხოვრობდი საფარის მონასტერში, სადაც გამიჩნდა სურვილი, გავმხდარიყავი ბერი. მონასტერში ცხოვრების დროს ჩემი სულიერი მოძღვარი იყო იღუმენი თეოდორე, ამჟამად იგი ახალციხის და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტია. მისი ლოცვა-კურთხევით 1995 წლის დეკემბერში აღმკვეცეს ბერად,ხოლო 1995 წლის 10 მარტს მიტროპოლიტმა სერგიმ მაკურთხა დიაკვნად, ამავე წელს იღუმენი თეოდორე წმინდა სინოდმა გამოარჩია ბოდბელ ეპისკოპოსად და მეც ორი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი ბოდბის ეპარქიაში, რომელშიც მაშინ დედოფლისწყაროც შედიოდა. 1997 წლის 12 ივნისს ეპისკოპოსმა თეოდორემ უწმინდესის ლოცვა-კურთევით მაკურთხა მღვდლად და ვმსახურობდი სიღნაღის წმინდა გიორგის საკათედრო ტაძარში. მოძღვრობა, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა, ამ დროს მღვდელი ვალდებულია, იზრუნოს მრევლის სულიერ ცხოვრებაზე და დაეხმაროს მათ სულის ცხონებაში. პასუხისმგებელი ხარ არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ მრევლის თითოეულ წევრზე. რაც შეეხება ბერობას, -ბერობა არის უპოვარი ცხოვრება. ამიტომ კეთილგანწყობილებას და ძლიერ ეპარქიას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ბერისთვის. უფალმა რომელი ეპარქიაც ჩაგვაბარა და სადაც გვაკურთხა, შესაბამისად ვალდებული ვართ, იქ ვემსახუროთ უფალს. ძლიერი ეპარქიის დატოვებას არ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. გულსატკენია მხოლოდ ერთი რამ, რომ აქ მრევლი ძალიან ცოტაა.

**-არ შემიძლია არ გკითხოთ თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, თუ შეიძლება ამაზეც ვისაუბროთ...**

-1996-1997 წლებში ქალაქ სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში ვასწავლიდი რელიგიის ისტორიას, ამავე წლებში კატეხიზმოს პედაგოგად შევდიოდი სიღნაღის სამუსიკო სასწავლებელში, 2000-2003 წლებში ახალციხის სასულიერო სემინარიაში ვიყავი პრორექტორი, 1999-2013 წლებში ვიყავი ქალაქ ახალციხის სასულიერო სემინარიაში ზნეობრივი ღვთისმეტყველების პედაგოგი, 2002-2013 წლებში ადიგენის რაიონის სოფელ ზანავის საჯარო სკოლაში რელიგიის ისტორიის,მსოფლიო კულტურისა და გეოგრაფიის პედაგოგი, 2011-2013 წლებში ადიგენის რაიონის სოფელ კახარეთის საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგი, 2014-2015 წლებში ზესტაფონის წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის სწავლების ცენტრის დირექტორი, 2014-2015 წლებში ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში საღვთო სჯულის პედაგოგი, 2015 წლიდან დღემდე დედოფლისწყაროს ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის გენერალური დირექტორი, 2015 წლიდან დღემდე გრემის სასულიერო სემინარიის ზნეობრივი ღვთისმეტყველების პედაგოგი.



**-მოსახლეობის ნაწილი საუბრობს, რომ ქალაქებში არიან მოძღვრები, რომელთა მიმართ ადამიანების რწმენა ძალიან შერყეულია, ასეთი მოძღვრები მხოლოდ თანხის მიღებას ელიან ხალხისგან, მაგრამ, რა თქმა უნდა, არიან ნამდვილი მამაოები, რომლებიც ღმერთის სიყვარულით არიან სავსენი. ჩვენი მრევლისგან ხშირად გამიგია ღმერთის სამადლობელი და ამბობენ,- მადლობა უფალს, რომ ჩვენში ასეთი მამაო არავინაა, ამ საკითხის ირგვლივ მინდა გვესაუბროთ, ნამდვილი მამაოებიც ამჩნევთ ხალხის თვალით დანახულს და ანსხვავებთ ასეთ „ვითომდა მამაოებს” გულწრფელი მოძღვრებისგან?**

- დღეს ანაფორის ყიდვა ადვილად ხელმისაწვდომია და არაა გამორიცხული, ვინმემ შეიძინოს და დაიბრალოს სასულიერო პირობა, თუმცა არსებობენ ნამდვილად ხელდასმული მღდვლებიც, რომლებიც არ იცავენ იმ წესს, რასაც უფალი ავალებთ, ისინი თავის ცოდვებზე აგებენ პასუხს, ჩვენ-ჩვენსაზე. მაგალითად, წარმოიდგინეთ, ექიმმა არასწორი მკურნალობით პაციენტი დაღუპა, ხომ მოხდება ისე, რომ იმ ექიმს უნდობლობას გამოუცხადებენ, თუმცა ეს არანაირად არ მიგვანიშნებს იმას, რომ მედიცინაზე და ექიმებზე ხალხმა უარი თქვას, ერთი ექიმის შეცდომის გამო, ყველა ექიმს ვერ უგულებელვყოფთ. იმის გამო, რომ ერთმა ან ორმა სასულიერო პირმა არასწორი რამ თქვა ან გააკეთა, ღმერთი დავგმოთ, ეს არასწორი საქციელი იქნება.

**-როგორია თქვენი გეგმები ჩვენი ეპარქიის გაძლიერების კუთხით?**

-ვგეგმავთ ბერთა მონასტრის გახსნას. ამის შესახებ უწმინდესისის ლოცვა-კურთხევა გვაქვს, მიმდინარეობს მუშაობა მირზაანში და სოფელ სამრეკლოში.

**-მამაო, თუ შეიძლება გვესაუბრეთ მორჩილების შესახებ. აქვს თუ არა მორჩილებას თავისი საზღვრები, რა სხვაობაა მასა და მონობაში ყოფნას შორის? ამდენად, შევეხოთ მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობას და განვიხილოთ, როგორი დამოკიდებულებაა უფლისთვის სათნო და ადამიანის სულისთვის მაცხოვნებელი?**

-მორჩილება ზეციური მსხვერპლია, სამწუხაროდ ხშირად ადამიანებს ურთიერთობაში ერევათ მორჩილება და მონობა. მორჩილებაა, როდესაც ღვთის დიდი სიყვარულით აკეთებ რამეს, ხოლო მონობაა, როცა შიშის გამო აკეთებ.

**-მეუფეო, როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა, ქრისტიანობა ქადაგებს გაცემას და მოწყალების გაღებას, პატიებას და მიტევებას მტრის მიმართაც კი. თუმცა ამ ცდუნებას ხშირად ვერ ვუძლებთ მოკვდავნი და ჩვენც ვუშვებთ შეცდომებს, არ გავცემთ იმდენს, რამდენიც შეგვიძლია რომ გავცეთ, არ ვპატიობთ, არადა შეგვიძლია, რომ ვაპატიოთ, განვიკითხავთ, არადა შეგვიძლია, რომ არ განვიკითხოთ, იქნებ გვესაუბროთ ამ საკითხზე?**

- თუ ჩვენ გვინდა, რომ ღმერთმა გვაპატიოს, მაშინ ჩვენც უნდა ვაპატიოთ, თუ გვინდა, რომ ღმერთმა არ განგვიკითხოს, ჩვენც არ უნდა განვიკითხოთ. თუ ჩვენ ვითხოვთ მოწყალებას უფლისგან, მაშინ, ჩვენც უნდა ვიყოთ მოწყალენი. ამ ყველაფერს გვასწავლის საუფლო ლოცვა “მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა”... სანამ ცოცხალნი ვართ, ადამიანური სისუსტეები მუდმივად წაგვართმევს თავს, მაგრამ უნდა ვეცადოთ მათ დაძლევას. რაც შეხება სულიერი შვილისა და მოძღვრის დამოკიდებულებას, აუცილებლად უნდა იყოს ზღვარი. რამდენად უნდა ჩაერთოს მოძღვარი სულიერი შვილის ცხოვრებაში?- ეს უნდა იყოს სულისთვის სასარგებლოდ მიმართული და არა ყოფით საკითხებზე აგებული. მოძღვარმა სულიერ შვილს უნდა ასწავლოს ქრისტეს სიყვარული და ამის შემდეგ თვით პიროვნება უნდა მივიდეს იმ გადაწყვეტილებამდე,თუ რა ამქვეყნიურზე უნდა თქვას უარი ქრისტეს სიყვარულისთის.

**- ქრისტიანობა მოიცავს სიხარულსა და სიყვარულზე დაშენებულ რწმენას, ის სიხარულის რელიგიად ითვლება...მაშინ,როცა ამ საწუთროში ტკივილსა და მწუხარებას უფრო ხშირად ხვდება ადამიანი, ვიდრე სიხარულს... საინტერესოა, როგორ უნდა მიაღწიოს პიროვნებამ ისეთ მდგომარეობას,რომ უმძიმესი განსაცდელის ჟამსაც ღვთაებრივი სიხარული არ ტოვებდეს და მუდამ მადლობდეს უფალს?**

-ჯერ ღმერთის სიყვარული არ აქვს ხალხს და სიყვარულის რა უნდა იცოდნენ? თუ ადამიანს ღმერთი არ უყვარს, მას სიყვარული სად ექნება, ღმერთის სიყვარული არ შეუთავაზებიათ და როგორ ისწავლიდნენ, ჩვენ უნდა შევთავაზოთ, ავუხსნათ და მერე გადაწყვეტილება თვითონ მიიღოს.

**-რამდენად სწორად მიგაჩნიათ, რომ მრევლი იდგეს ტაძარში და ამავე დროს ხმაურობდეს, ერთმანეთში საუბარში ატარებდნენ ეკლესიაში დგომის საათებს?**

-ზოგადად ტაძარში მივდივართ სალოცავად და უფლის სადიდებლად, თუ ჩვენ იქ არ ვილოცეთ, არ მოვუსმინეთ და მთლიანად ღვთის სადიდებელში არ ჩავერთეთ, ეს ნიშნავს იმას, რომ ტყუილად მოვცდენილვართ. ტაძარში წირვა-ლოცვაზე იდგეს ადამიანი და მთელი გულით არ იყოს უფალთან, ან სალაპარაკოდ მიდიოდეს, ეს იგივეა, რომ მაღაზიაში პურის საყიდლად წავიდეთ და პურის ნაცვლად ლიმონათი მოვიტანოთ იქიდან.

**-ხშირად საუბრობენ, რომ უკვე არსებობს მეორედ მოსვლის ნიშნები, დღეს მთელი მსოფლიო ძალადობაზეა გადასული, დიდი რყევების და ტერორიზმის საშიშროების წინაშე დგას სამყარო, დღეს უკვე აღარავის უკვირს ადამიანის მიერ მეორე ადამიანის კვლა, ბავშვების ხოცვა, ქალაქების ნგრევა და ა.შ. თქვენი, როგორც ეკლესიური პირის შეხედულება ამ ყველაფრისადმი, რას მიგვანიშნებს ეს ყოველივე?**

-მეორედ მოსვლას მოციქულთა დროიდან ელოდებიან, თუმცა ზუსტ დროს ვერ ასახელებენ, ეს არავინ იცის. სწორედ ჩვენი ცოდვების გამოა, რომ გამრავლებულია უსჯულოება, ამის მიზეზს მე ვხედავ იმაში, რომ ჩვენ „წარმატებით“ გავაძევეთ ღმერთი ინსტიტუტებიდან, სკოლებიდან, ოჯახებიდან და, სამწუხაროდ, საკუთარი გულიდან და ამის შემდეგ ალბათ აღარ უნდა გვიკვირდეს ის, რომ ეშმაკი მძლავრობს და ადამიანები ივიწყებენ სახარებისეულ საქმიანობას. ჩვენ ხომ ვითომ თავისუფლები ვართ და თავისუფლება გვგონია, ვაკეთოთ ის, რაც გონებაში მოგვივა. არადა, ჭეშმარიტი თავისუფლებაა ადამიანი უფლებდეს საკუთარ ვნებებზე; ზოგადად სიყვარულის განელება, ულმერთობა და ბოროტების გამრავლება არის ნიშანი მეორედ მოსვლისა და სამყაროს დასასრულისა.

**-ცენტრალური ტელეარხებით გადის გადაცემები ეშმაკეულ სულებზე, მაგიაზე, თვითმკვლელობებზე, საუბრობენ თემის ირგვლივ და იქ არსად, არცერთ მხარეზე არ ჰყავთ მოწვეული მამაო, რომელიც იტყვის მართალ სიტყვას, რომ რწმენა და ღვთის სიყვარული აკლია ამ ხალხს. თქვენი აზრით, რას ემსახურება დღეს ინტერნეტ- ტელესივრცე?**

-ტელეეთერით აჩვენებენ იმას, რისი ინტერესიც აქვს საზოგადოებას, არ აინტერესებთ, სარგებელი აქვს ამ საუბარს თუ არა. იწვევენ ისეთ მამაოებსაც, რომლებიც თავისუფლად ისაუბრებენ ყველა მათ მიერ გამოტანილ საკითხზე და იწვევენ იმისთვის, რომ მრავალფეროვანი გახადონ სტუდია. საუბრობენ და არჩევენ სუიციდის თემას ან სხვას, მაგრამ ჰგონიათ, ამით უშველიან პრობლემას?! -არა და ვერც უშველიან! ამიტომ, ვთვლი, რომ ამაოდ საუბრობენ. ყველაზე კარგი საშუალება ცოდვისაგან თავდასაღწევად არის აზრი ღმერთის არსებობის შესახებ, რომ ის ხედავს ადამიანის ფიქრს და საქმეებს და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს დამალული და დაფარული საქმეები ანუ ცოდვები. ადამიანებში არსებობს ასეთი გამონათქვამი, თუ “ადამიანები არ ხედავენ შენს დანაშაულს, ღმერთი ხომ ხედავსო”... დიახ, ღმერთი ყველაფერს ხედავს.

**-ღვთისკენ მიმავალი გზა არაა ადვილი, რას მოუწოდებდით ჩვენს მრევლს და რას მოუწოდებთ მათ, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ მიხვედრილან, რომ ტაძრის გზა ერთადერთი გზაა რეალურ ბედნიერებამდე?**

-მინდა ვთხოვო ყველა მკვიდრს ჩვენი ეპარქიისა და სრულიად საქართველოსას, გამონახონ დრო წირვა-ლოცვისთვის, ნუ დააკლდებიან საღვთო მადლს, რომელიც ღვთის მსახურების დროს გადმოდის მორწმუნეებზე, ღმერთმა დალოცოს ღვთივკურთხეული ივერიის ყველა მკვიდრი. და კიდევ, სურვილი მაქვს, რომ ყველა მკვიდრი ჩვენი ეპარქიისა იყოს წევრი დედა ეკლესიისა.

**ესაუბრა**

ლალი მეხრიშვილი

# ეს ჩვენი წარსულია

## ქიზიყის სამოურავოს დროშა

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად XV საუკუნემდე კახეთიც საერისთავოებად იყო დაყოფილი. ერისთავები საგამგეოდ მიცემული ადგილების სამემკვიდრო სამფლობელოდ გადაქცევას და იქ გახელმწიფებას ლამობდნენ, ამიტომ კახეთის სამეფო ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მნიშვნელოვანი რეფორმა ჩაეტარებინა. გიორგი VIII 1466 წელს გადავიდა კახეთში და დასაბამი მისცა კახეთის სამეფო შტოს. მან საერისთავოებთან ერთად გააუქმა მათი სამხედრო ერთეულებიც და კახეთი ოთხ სადროშოდ დაჰყო, მაგრამ სადროშოს სარდლობა თავადებს კი არ ჩააბარა, არამედ ეპისკოპოსებს.

კახეთის სადროშოებიდან მეწინავე სადროშოს შეადგენდა ბოდბელის სასარდლო-ქიზიყი.

„ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა, აქვს სასპასპეტო დროშაცა"- წერს იოანე ბატონიშვილი თავის ისტორიოგრაფიულ ნაშრომში „ქართლ- კახეთის აღწერა." მართალია, სადროშოს სარდლებად ეპისკოპოსები იყვნენ, თუმცა ლაშქარს მოურავები სარდლობდნენ. მოურავს აღარ ჰქონდა სამხედრო ხელისუფლება, რომელიც ყოფილი ერისთავების სიძლიერის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა.

სადროშოების- შემდეგში სამოურავოების არსებობა ფეოდალური ურთიერთობის წიაღში რამდენადმე აძლიერებდა სახელმწიფოებრივი მმართველობის ცენტრალიზაციას, მეფის ხელისუფლებას.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „არამედ საქვაბე–საქობო ასანურამდე არს ადგილი ქიზიყისა, რომელიც მოხვევია მთასა- ცივის მთიდან ჩამოსულსა, ამას ეწოდა პირველი „კამბეჩოვანი", შემდგომში „ქიზიყი".




XV საუკუნიდან ქიზიყის ცენტრი ჯერ ბოდბის მონასტერი გახდა, 1441 წლიდან – მაღარო, 1764 წლიდან – ქ. სიღნაღი. ამის შემდეგ აქ ხალხმა არავინ აბატონა. ჩამოყალიბდა თავისუფალი „ქიზიყი" სოციალური და პოლიტიკური თავისთავადობისთვის, მუდამ შემართული, გასამხედროებული თემი, რომელსაც ჰქონდა საკუთარი დროშა და მზად იყო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მეფის გვერდით მდგარიყო.

ქიზიყის დროშა ეს იმ ნივთთაგანია, რომელიც საფრანგეთიდან დაბრუნებულია სხვა ისტორიულ ნივთებთან ერთად.(„მენშევიკების" მიერ გატანილი იქნა ქართული განძი 1921 წელს და 1945 წელს დაბრუნდა სამშობლოში). ამჟამად იგი ინახება თბილისში, ხელოვნების მუზეუმში.

XX საუკუნის დასაწყისში ქიზიყის დროშა დაცული ყოფილა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქოდალოს ეკლესიაში.

ქიზიყის დროშის თავი მასიური სქელი ფურცლის და ოქროცურვილი ვერცხლისაა. მისი სიგრძე ტარიანად 56,6 სმ-ია, უტაროდ ჯვრის სიგრძე 19 სანტიმეტრია, სიგანე-15,5 სანტიმეტრი.

ჯვრის მსხვილი ღონიერი შტოები ბოლოსაკენ განივრდება და ოდნავ მომრგვალებულია. ზედაპირი სადაა, მთელ შემკულობას შადგენს მხოლოდ წარწერები. ერთ მხარეზე წარწერები დაწერილია მხედრული, სუფთა, უპრეტენზიო ასოებით. ზემო შტოზე ამოჭრილია: დდბა ღთსა", ქვემოზე ქკსა: (ქორონიკონსა ტლვ"-1648 წელი.უკანასკნელი წარწერის ზემოდან ამოფხაჭნულია: სრდლ მაყვლი აბელ (სარდალი მაყაშვილი აბელ). გვერდითი შტოები კი მთლიანად გაუვსია ოთხსტრიქონიან წარწერას:

I ქ: ნებითა ღთისათა: ჩვენ ქართლისა და კახეთისა ორ

II ისავე: მპყრობელმა: მეფეთ: მეფემა პატრონმან რსტ

III გავაკეთებინეთ:დროშა ესე ქისიყისა სახელსა ზედან:

IV წმინდის: სტეფანისა: ჩვენად გასამარჯვებლად:

ჯვრის მეორე მხარეზე მხოლოდ ასომთავრულ ასოებს ვხედავთ. ესენი სიმეტრიულად განლაგებულია ჯვრის შტოების ბოლოებზე: ოთხი ასო-მარცხნივ, ოთხი მარჯვენივ, ორი ზევით, სამი ქვევით. ყველა ოთხივე შტოს ასოებს თითო ქარაგმა აქვს.

ზევითკენ: ჯ-ი

ქვევით: ქ-სი

მარცხნივ: ძვ-ლი

მარჯვენივ: მტ-თი

აკადემიკოს გიორგი ჩუბინიშვილის წაკითხვით:" ჯვარი ქრისტესი ძლევაი მტერთაი." ასოები მსხვილი მძლავრი ხაზებითაა ამოჭრილი და ძალიან საინტერესოდ გადაბმული. უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანი როსტომ მეფე (1632-1658წწ) ჯვრიან დროშას აკეთებინებს ქრისტიანი წმინდანის სახელზე, (სტეფანე მე-6 საუკუნის ერთ-ერთი ცამეტი ასურელთაგანია, რომლის სახელობის ეკლისია „სტეფანე ხირსელის" სახელითაა ცნობილი და მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანში-სტეფანე ქიზიყის მხარის წმინდანია). სწირავს მას და დროშას აწერს თავის სახელს.

XVIII საუკუნის ისტორიკოსთა თხზულებებში და საომარ მოქმედებათა აღწერილობების დროს ქიზიყის მოურავების გვარი ანდრონიკაშვილებია. პლატონ იოსელიანი ასახელებს პაპუნა მოურავს. პაპუნას ქალი გიორგი XII-ის პირველი ცოლი ყოფილა. „1767 წელსა შეირთო ცოლად ქეთევან ქალი პაპუნა ქიზიყის მოურავისა, ანდრონიკაშვილისა".

ქიზიყის დროშა ჯვრის თავით წარმოადგენს „საწინამძღვროს". იგი ანარეკლია თავისი დროისა და მკაფიო გამოხატვაა ეპოქისა, ამასთანავე ხელოვნების ნაწარმოების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

**მასალა მოამზადა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა**
ლალი ბასილაშვილმა.

---

# ახაშენში მცხოვრები ფერეიდნელები:

## – ირანში მყოფი ნათესავები წლებია, არ გვინახავს

„ფერეიდნიდან საქართველოში ჩამოსვლა ბევრს უნდოდა, მაგრამ დაბრკოლებების გამო ვერ მოდიოდნენ. ვიზის ასაღებად საელჩოში რამდენჯერმე მისვლა უწევდათ და იქაც დროულად არ კეთდებოდა საქმე",- ამბობს აჰმედ კოლ ათუაშვილი, რომელიც გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში ირანიდან 40 წლის წინ ჩამოსახლდა. აჰმედ კოლის თქმით, ფერეიდანში მცხოვრები ნათესავები თითქმის სამი წელია, არ უნახავს. ისინი საქართველოში შემოსვლას რთული სავიზო პროცედურების გამო ვერ ახერხებენ.

8 თებერვალს საქართველოს მთავრობამ ირანთან უვიზო მიმოსვლის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო, რომლის საფუძველზეც ირანის მოქალაქეები საქართველოში შემოსვლას გამარტივებული რეჟიმით 15 თებერვლიდან შეძლებენ.

ახაშენში მცხოვრებ ფერეიდნელებს იმედი აქვთ, რომ სავიზო რეჟიმის მოხსნის შემდეგ მათი ნათესავები საქართველოში უფრო ხშირად ჩამოვლენ.

„პრობლემა ძირითადად ის იყო, რომ დროის ხარჯვა იყო ბევრი. როცა სავიზო რეჟიმი გაუქმდება, ეს დროსაც დაზოგავს და თანხებსაც",- უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ალიკა ბათუაშვილმა.

მისივე თქმით, უვიზო რეჟიმი ირანისა და საქართველოს შორის სავაჭრო და ტურისტულ ურთიერთობებს შეუწყობს ხელს.

ოფიციალური ინფორმაციით, გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში ფერეიდნელი ქართველები 1972 წლიდან ჩამოსახლდნენ. ამჟამად, სოფელში ფერეიდნელთა 5 ოჯახიღა ცხოვრობს.

საქართველომ და ირანმა უვიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე შეთანხმებას ხელი 2010 წელს მოაწერეს. 2013 წლის 1 ივლისს საქართველომ ირანის მოქალაქეებთან უვიზო რეჟიმი ცალმხრივად გააუქმა. 2015 წლის 8 თებერვალს ქართული მხარის ინიციატივით გადაწყდა, რომ საქართველო ირანთან სავიზო რეჟიმს გააუქმებს. ამ გადაწყვეტილებას წინ ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ ირანისთვის ბირთვული პროგრამის განვითარების გამო დაწესებული სანქციების მოხსნა უძღოდა.

სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წელს საქართველოში ირანიდან 89 697 ვიზიტორი შემოვიდა. 2013 წელს, როდესაც საქართველომ ირანის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი დააწესა, ირანიდან შემოსული ვიზიტორების რიცხვი 5%-ით შემცირდა და 85 598 ვიზიტორი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2014 წელს 47 929 იყო, ხოლო 2015 წელს 25 264. 2016 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, საქართველოში ირანიდან 1 848 ვიზიტორია შემოსული.

---

# „არ მიყვარს დამარცხებული ქართველის ყურება" – ქართული კაფე ირანში და ისპაჰანელი ქართველის ოცნება

"ქართულად იმიტომ ვმღერი, რომ ჩვენი თაობის ვალია, არ დავკარგოთ ის მონაპოვარი, რაც ამ ოთხი საუკუნის მანძილზე ჩვენმა წინაპრებმა შეინარჩუნეს უცხო ქვეყანაში"

„mc XBoy" ირანში საკმაოდ პოპულარული რეპერია. მისი ნამდვილი სახელი და გვარი ანდრია (ჰადი )იოსელიანია. ანდრია ისპაჰანში ცხოვრობს. მისი წინაპარი საქართველოდან მეჩვიდმეტე საუკუნეში, შაჰ-აბასის ლაშქრობის მერე ძალით წაიყვანეს ირანში.

"მანდ სულ სხვანაირად ვიმღერებ"

ანდრია 25 წლისაა. 10 წლიდან რეპს მღერის, ძირითადად ქართულად: "ქართულად იმიტომ ვმღერი, რომ ჩვენი თაობის ვალია, არ დავკარგოთ ის მონაპოვარი, რაც ამ ოთხი საუკუნის მანძილზე ჩვენმა წინაპრებმა შეინარჩუნეს უცხო ქვეყანაში. ყველაზე დიდი მონაპოვარი ქართული ენაა და ვცდილობ ჩემი სიმღერით მეც შევიტანო წვლილი, რომ ხალხს არ დაავიწყდეს წინაპრების ენა". ირანში რეპის მიმდინარეობა მკაცრ ცენზურას გადის, მაგრამ იმის გამო, რომ ანდრიას სიმღერებში არაა პოლიტიკური მოწოდებები და მავნე აზრები, სიმღერის გამო პრობლემები არ ექმნება: "ზოგჯერ მეშლება ხელი სიმღერაში, აბა, რა ვიცი რა ვთქვა, მაგრამ მთავარია, რომ ქართულად ვმღერი"

ანდრიასთვის ქართველობა ძალიან ბევრს ნიშნავს: "ქართველობა და საქართველო ჩვენთვის არის როგორც ღმერთი. საქართველო ჩვენს გულშია. ჩემი მშობლიური მიწაა, მამა-პაპათა სისხლი მეძახის და მოვალე ვარ, რომ ჩამოვიდე. მე საქართველოზე ვოცნებობ და მინდა, ჩემი სამშობლოს მიწაზე ვიცხოვრო."

ანდრიამ და მისმა მეგობრებმა ცოტა ხნის წინ ისპაჰანში ქართული კაფე გახსნეს: "ქართული კაფე იმიტომ გავხსენი, რომ ირანში, განსაკუთრებით ისპაჰან ქალაქში, ხალხმა უფრო მეტად გაიცნოს საქართველო."

მენიუში ბევრი ქართული კერძი არ აქვთ, თუმცა ანდრიას მეგობარი არსენ გურგენიძე საქართველოში ქართული კერძების შესასწავლად ჩამოვიდა. კაფეს დიზაინი ქართული და ირანული ელემენტებისგან შედგება: "მე და ჩემს მეგობრებს, რა თქმა უნდა, გვიხარია კაფის გახსნა, რადგან ეს არის პირველი ნაბიჯი ირანში, როცა ქართული სახელით ასეთი დაწესებულება მუშაობს. ჩვენ ვეცდებით, იგივე სხვა ქალაქებშიც გავაკეთოთ."

ანდრიას ძალიან უყვარს ქართული ფოლკლორი, ოცნებობს ქართველებთან ერთად სიმღერაზე: "მანდ სულ სხვანაირად ვიმღერებ, რადგან საქართველო ჩემთვის ყველაფერია, ჩემი ოცნება და ჩემი სიყვარულია".

განსაკუთრებული აღატაცებით იხსენებს, როდესაც პირველად იმღერა ქართულად: " აქ მცხოვრებმა ქართველებმა თავდაპირველად არ იცოდნენ ქართულად რომ ვმღეროდი, არ დამავიწყდება მათი სიხარული, როდესაც მათთვის სრულიად მოულოდნელად ქართულად ავმღერდი. ეს სიხარული ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა".

ანდრია სიმღერის მუსიკას და ტექსტს თვითონვე წერს, რადიო "სეფაანში" ხშირად გადის მისი სიმღერები.

სპორტის დიდი გულშემატკივარია, თუ ქართველი მონაწილეობს, მაშინ შეხვედრებს განსაკუთრებული აღტკინებით უყურებს:




"განსაკუთრებით ჭიდაობისა და რაგბის ყურება მიყვარს, რადგან ქართველები ძალიან ძლიერები არიან, როცა იგებენ მეამაყება ხოლმე. არ მიყვარს დამარცხებული ქართველის ყურება".

ქართველი სპორტსმენებიდან განსაკუთრებით კახი კალაძე და ლუკა კურტანიძე უყვარს: "ყველაფერს შრომით მიაღწიეს და ასე მგონია, ყველასთვის სამაგალითოები უნდა იყვნენ."

მყავს იდეალი ადამიანი - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე: "ის მართლაც უწმინდესია. საკუთარი ბაბუა მგონია, რომელსაც კალთაში ვუჯდებოდი და ბევრს ვეფერებოდი ხოლმე. საყვარელი და თბილი ადამიანია. მიყვარს მისი ლაპარაკის მოსმენა"

ჩვენი საუბრის დასასრულს ანდრიამ ოცნებაც გაგვიმხილა: „ჩემი დიდი ოცნებაა, ჩამოვიდე საქართველოში და ვიყო ჩემი სამშობლოს ღირსეული შვილი..."

# ახალი საგანი, რელიგია და საზოგადოების პროტესტი

"სირცხვილია, იმ ადამიანებს, რომლებიც გულანთებულები ლაპარაკობენ რელიგიის სახელით, ავიწყდებათ, რომ ჩვენი რელიგია კრძალავს ტყუილს და ცილისწამებას"

"კვირის პალიტრის" რედაქციაში შემოვიდა წერილი-პეტიცია სახელწოდებით "განგაშის ზარები", რომელსაც ხელს აწერენ საზოგადოების ცნობილი წევრები და რომლებიც ითხოვენ არ შეიტანონ სკოლებში ახალი საგნის "მე და საზოგადოება" და "ჩემი საქართველოს" ახალი ვერსია.

განგაშის ზარები…

განათლების სამინისტრო ევროკავშირის დავალებით სექტემბრიდან ჩვენ შვილებზე მასირებული შეტევის განხორციელებას აპირებს.

ახალი სავალდებულო საგნების "მე და საზოგადოება" და "ჩემი საქართველო"-ს მიზანი იქნება დაწყებით კლასებში, 7-13 წლამდე ბავშვების, ერთის მხრივ, ბილწი და უსაშინლესი მამათმავლური ცნობიერებით მოწამვლა, გარყვნა და, მეორეს მხრივ, მათი სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერების გადაგვარება და აღრევა.

ქვემოთ დოკუმენტურად გთავაზობთ ამ განზრახვის შემზარავ მაგალითებს.

I - მამათმავლობისა და სქესთა აღრევის შესახებ:

მასწავლებლების გადამზადებისა და სერთიფიცირებისთვის შექმნილ სახელმძღვანელოებში, რომლებიც დაწერილია უცხოელი ავტორების მიერ, ევროკავშირისა და USAID-ის პატრონაჟით, შავით თეთრზე წერია შემდეგი:

• **"ვისაუბროთ სექსზე!**

გაიგე, პიტერი გეი ყოფილა?

ამოარჩიეთ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც თავისუფლად საუბრობენ თავიანთ სექსუალობაზე, ჰეტეროსექსუალიზმის, ჰომოსექსუალიზმის, ბისექსუალიზმისა და ტრანსსექსუალი ქალებისა და მამაკაცების ჩათვლით." (გვ. 186)

• **"რჩევები ხელმძღვანელებს**

როგორია ჰომოსექსუალების სქესობრივი ურთიერთობა?

გონებრივი შტურმი, რომელიც ეძღვნება იმ ცნობილ ადამიანებს, ვინც ღიად საუბრობენ

საკუთარ სექსუალობაზე." (გვ. 188)

• **"მოქმედებაზე გადასვლა**

დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში არსებულ ჰომოსექსუალისტების ან ლესბოსელების საზოგადოებას. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოქმედებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზაა. მოიწვიეთ მათი წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ, რათა გაარკვიოთ, რომელი საკითხები და უფლებებია ყველაზე მწვავე თქვენ ქვეყანაში." (გვ. 189)

(,,კომპასი" (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით) რედაქტორები: პატრიცია ბრანდერი, ელლი კინი, მარი-ლორ ლემინერი)

• **"იყო და არა იყო რა…**

ნახე, რა ხდება, როდესაც ცნობილი ზღაპრის პერსონაჟებს სქესს შეუცვლი.

თემები - დემოკრატია, დისკრიმინაცია, გენდერული თანასწორობა.

სირთულის დონე - მეორე დონე.

ასაკი - 7-13 წელი.

ხანგრძლივობა - 40 წუთი.

ჯგუფის სიდიდე - 8-15 ბავშვი.

სავარჯიშოების ტიპი - ამბის თხრობა, დისკუსია.

სავარჯიშოს აღწერა - ცნობილი ზღაპრის მოყოლა, რომელშიც პერსონაჟებს სქესი აქვთ შეცვლილი, რასაც გენდერულ სტერეოტიპებზე დისკუსია მოჰყვება." (გვ. 112)

• **"ოჯახი და ალტერნატიული მზრუნველობა**

რა არის ოჯახი?

"ტრადიციული" ოჯახის გარდა, რომელიც გულისხმობს დაქორწინებულ მშობლებსა და ბიოლოგიურ ბავშვებს, ევროპელები სხვა ოჯახებადაც ცხოვრობენ, როგორიცაა:

ოჯახი, რომელიც ერთი სქესის მშობლებისგან შედგება." (გვ. 231)

("კომპასიტო" (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის)

რედაქტორი და თანაავტორი ნენსი ფლაუერსი)

• **გენდერი**

წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით. რისი შეცვლა მოგიწევდათ? პირველ რიგში, ალბათ, თქვენს გარეგნობას შეცვლიდით - ტანისამოსს, ვარცხნილობას და, შესაძლოა, სამკაულს. შესაძლოა, აგრეთვე ადამიანებთან ქცევის მანერის შეცვლაც მოგიწიოთ." (გვ. 105)

(სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო (სტატიების კრებული) "მარგარეტ ანდერსენი და ჰოვარდ ტეილორი)

ეს ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოები "კომპასიტო", "კომპასი" და ა.შ. ნათარგმნია "ადამიანის უფლებათა განათლების ცენტრის" მიერ (რედაქტორი გიორგი კენჭოშვილი).

ეს ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოები "კომპასიტო", "კომპასი" და ა.შ. ნათარგმნია "ადამიანის უფლებათა განათლების ცენტრის" მიერ (რედაქტორი გიორგი კენჭოშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ (გახმაურების შემდგომ) წაშალა თავისი ვებგვერდიდან მასწავლებლებისათვის გამზადებული მთელი ბიბლიოგრაფია, დაინტერესებულ მკითხველს მაინც შეუძლია მისი ნახვა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, თუ ზოგადად ინტერნეტ სივრცეში.

თუმცა ამ ბილწი შინაარსის "სახელმძღვანელოების" თარგმნა და შექმნა რა გასაკვირია, როდესაც ევროსაბჭო თავის რეკომენდაციებში თავის წევრ ქვეყნებს ამას პირდაპირ (ცინიკურად, თითქოსდა ბავშვის უპირატესი ინტერესის და მშობლების უფლების გათვალისწინებით) ავალდებულებს, კერძოდ:

ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი

სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე - საქართველო

"CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის დანართი

VI. განათლება

32. ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის მხარდასაჭერად მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას გეგმებსა და საგანმანათლებლო მასალებში. აღნიშნული ასევე უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა აუცილებელი ინფორმაციით, დაცვითა და მხადაჭერით უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვრება. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეადგინონ და განახორციელონ თანასწორობისა და უსაფრთხოების სასკოლო პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ უზრუნველყონ დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ადეკვატური ტრეინინგებისა თუ სხვა სახის მხარდაჭერისა და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა. აღნიშნულ ზომებში გათვალისწინებული უნდა იქნეს მშობელთა უფლება ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით."

II - სარწმუნოებრივ-ცნობიერებითი გადაგვარების და რელიგიათა, კულტურათა, ეროვნებათა აღრევის შესახებ:

• **სახელმძღვანელო სტანდარტში არსად არაფერია ნათქვამი არც ქართულ ეთნოგენეზისზე, არც ქართულ ენასა და ანბანზე და არც მისი იდენტობის განმსაზღვრელ, კონკორდატით დაცულ, დომინანტ სარწმუნოებაზე, მართლმადიდებლობაზე.**

არამედ, პირიქით, საქართველოს იდენტობად, მის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად და თავისებურებად არა მისი თვითმყოფადობაა წარმოდგენილი, არამედ საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა მრავალფეროვნება.

"მასწავლებელი მოსწავლეს დაეხმაროს იმის გაცნობიერებაში, რომ საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი მისი ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებაა;" ("ჩვენი საქართველო" ქვეპუნქტი 1. "ჩვენი საქართველო").

• **და თურმე ბავშვს ამ უმცირესობების დომინაციის არა მარტო აღიარებას ავალდებულებენ, არამედ მის გააზრებასაც და დაფასებასაც.**

"მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (კულტურული და სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების გააზრება და დაფასება…" (საზოგადოებრივი მეცნიერებები, "მე და საზოგადოება"საზ.მეც.დაწყ. (I).10.).

კი, მაგრამ საინტერესოა, როგორ უნდა დააფასოს მაგალითად ქართული კულტურისა და ქრისტიანული მრწამსის მატარებელმა ბავშვმა, დავუშვათ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული ტრადიციული კულტურისთვის ყოვლად მისაღები და ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი მრავალცოლიანობა?

ან, კიდევ უარესი, როგორ უნდა დააფასოს მან, მაგალითად, იუდეური სარწმუნოება, რომელიც ქრისტეს თვითმარქვიად მიიჩნევს და ღვთისმშობელსაც შეურაცხყოფს?

ან და პირიქით, იუდაიზმის მიმდევარმა, როგორ უნდა გაიაზროს და დააფასოს ქრისტიანობა, როდესაც მას სარწმუნოებრივად არ აღიარებს და უპირისპირდება.

• **ევროკავშირის მაცდური იდეოლოგიის მიხედვით ისინი ავალდებულებენ სხვადასხვა რელიგიური კუთვნილების მქონე ჩვენს შვილებს წმინდა წიგნებად მიიჩნიონ და აღიარონ მათი რწმენისთვის შეუთავსებელი წიგნებიც, მაგალითად იუდეველებმა სახარება, ხოლო ქრისტიანებმა ყურანი:**

"წმინდა წიგნი (ბიბლია, თორა, ყურანი)"

(პუნქტი 1. საზოგადოებრივი მეცნიერებები

"მე და საზოგადოება"

რწმენა, ზნეობრივი ღირებულებები და რელიგია)

და, ამასთან ერთად, ყველაზე ამაზრზენი და გაუგონარი ის არის, რომ ამ ბოროტი სახელმძღვანელოების სტანდარტის შემქმნელი ავტორები, ამ კულტურულ-სარწმუნოებრივ აღრევას არა მარტო ინფორმაციულად ასწავლიან და ნერგავენ, არამედ მის უკეთ ასათვისებლად და განსამტკიცებლად ისინი ბავშვებს ამ მოქმედებების ფიზიკურ განხორციელებასაც აძალებენ.

***კერძოდ:***

თითოეული მოსწავლე "როლური თამაშების" გზით, როლში შესვლით ვალდებულია, განასახიეროს უმცირესობის როლები.

ა) მაგალითად, მან უნდა ითამაშოს, განასახიეროს რომელიმე რელიგიური შენობის როლი.

"როლური თამაში - "ალაპარაკებული ისტორიული ძეგლი", სადაც ძეგლის როლში მყოფი მოსწავლე

გადმოსცემს "საკუთარ თავგადასავალსა" და ისაუბრებს თემის/ქვეყნის წინაშე საკუთარ დამსახურებებზე."

ქვეპუნქტი 2. IV კლასი

"მე და საზოგადოება"

რა თქმა უნდა, აქ არსად არის მინიშნება იმაზე, რომ, მაგალითად, ქრისტიანმა მხოლოდ ქრისტიანული ტაძარი შეიძლება განასახიეროს და სხვა აღმსარებლობისამ - სხვა, არამედ იგულისხმება, რომ ყველამ - ყველა.

ანუ თავისთავად ცხადია, რომ მუსულმანს შეიძლება მოუწიოს ქრისტიანული ტაძრის და მღვდელმსახურის განსახიერება, ქრისტიანს კი, თავის მხრივ, სინაგოგის და მეჩეთის, რაბინისაც და მოლასიც.

ბ) ასევე ბავშვთა აღზრდის მეცადინეობებში შედის ისიც, რომ მათ უნდა დაალაგონ ხოლმე სხვადასხვა

რელიგიური დანიშნულების მქონე შენობები.

"გაკვეთილი ბუნებრივ გარემოში, სადაც მოსწავლეები რომელიმე რელიგიური ძეგლის ეზოს დასუფთავებაში, გამწვანებაში და ა.შ. მიიღებენ მონაწილეობას და მოახდენენ მისი სხვა პრობლემების იდენტიფიცირებას;"

"მე და საზოგადოება"

ქვეპუნქტი 1. III კლასი

სტანდარტის შედეგები

რაღა თქმა უნდა, ამ სახელმძღვანელოს ავტორები, აპირებენ რა ჩაატარონ მსგავსი აქტივობები, არც იმას დაგიდევენ, რომ ამ იძულებით, შეიძლება შეურაცხყოფდნენ უმცირესობების უფლებებს.

და რა თქმა უნდა, არც იმას, რომ ამასთანავე უმრავლესობის უფლებებსაც შეურაცხყოფენ, რომელთაც ქრისტიანული სარწმუნოება კატეგორიულად უკრძალავს სხვა რელიგიის ტაძრების მოვლა-პატრონობასა და დასუფთავებას, და მით უმეტეს მათ როლში შესვლასა და განსახიერებას.

და ეს აკრძალვა კანონიკურად იმდენად სერიოზულია, რომ მისი დამრღვევები შეიძლება ეკლესიიდან განყენებით, უზიარებლობით თუ სხვადასხვა ეპიტემიით დაისაჯონ კიდეც.

ეს ის იდეოლოგიაა, რომელიც ყველას ყველასთან გათანაბრებისა და გაიგივების სახელით, საბოლოოდ, მუსულმანს ჩადრის ტარებას უკრძალავს, ხოლო ქრისტიანს ჯვრისას.

ეს იდეოლოგია სინამდვილეში უპირისპირდება და ებრძვის მართლმადიდებლობასაც, მუსულმანობასაც, იუდაიზმსაც და სხვა ნებისმიერ სარწმუნოებასაც. ნებისმიერ ეთნიკურ, ეროვნულ თუ კულტურულ თვითმყოფადობას.

მისი მიზანია ახალი "ზე რელიგიის" შექმნა, რომელმაც "ახალ წესრიგში" უნდა გააერთიანოს უეროვნებო, უკულტურო, ურელიგიო და უსქესო, "ახალი ტიპის" ადამიანი.

დასასრულ, კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, რომ როლური თამაშების მეთოდი ჩვენ შვილებს არა მარტო რელიგიური უმრავლესობის და უმცირესობების როლში შესვლას, განსახიერებას ავალდებულებს, არამედ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდგომ, მათ უკვე შესაბამისად მოსთხოვენ, განახორციელონ სხვა ნებისმიერი უმცირესობის როლებიც, მათ შორის, სექსუალურისაც.

რისი საფუძველიც, თუნდაც, ამ ახალ სახელმძღვანელოებში მრავალგზის ნახმარ, ერთი შეხედვით უწყინარ ციტატაშიც კი დევს:

"მოსწავლემ უნდა შეძლოს საერთო წესების მნიშვნელობის გაცნობიერება, ქცევის წესების თანატოლებთან შეთანხმება და დაცვა. შემწყნარებლური დამოკიდებულების გამოვლენა განსხვავებული რელიგიის, კულტურის და სხვა მიმართ."

(სტანდარტების შედეგები (ბავშვის უფლებები და მოვალეობები)

საზ. მეც. დაწყ. (1) 14.")

რადგან ცხადია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდგომ ამ ჩამონათვალის ბოლოს "და სხვა"-ში, უკვე თავისთავადაა შეყვანილი და იგულისხმება "გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშანიც".

"II. რეკომენდაციები მთავრობას პრიორიტეტული ქმედებების შესახებ შეიტანეთ ცვლილებები კანონმდებლობაში. კერძოდ:

1. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა მკაფიოდ უნდა იქნეს შეტანილი ყველა შესაბამისი

კანონის ანტიდისკრიმინაციული საფუძვლების ჩამონათვალში; ამავდროულად, მოსამართლეებმა ფართო

ინტერპრეტაცია უნდა მისცენ ამ დებულებებს და განმარტონ, როგორც სექსუალური ორიენტაციის

და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმა."

(ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე - საქართველო)

და ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგანაც ევროპაში, მაგალითად, თუნდაც გერმანიის სკოლებში უკვე ფართოდაა დანერგილი ვალდებულება, რომ ყველა ბავშვმა ერთხელ მაინც განასახიეროს ლგბტის როლი, რათა გაუჩნდეს მათდამი ემპათია, თანაგანცდა.

და, რა თქმა უნდა, ამაში ჩვენი ევროპელი "მეგობრები" არ ცდებიან, რადგან ნებისმიერ ბავშვს, ამ შემთხვევაში ჩვენ შვილებს, რომელიც ერთხელ მაინც განასახიერებს, მოირგებს მამათმავლის როლს, მართლაც თავისუფლად შეიძლება გაუჩნდეს ამ უბინძურესი გარყვნილების მიმართ შემგუებლობა და მიმღებლობა.

და ბოლოს, ეს წერილი დასაბეჭდათ უკვე მზად იყო, როდესაც ჩვენ, ჩვენს საშუალო სკოლებში, ამ სიბილწის დაუფარავი პროპაგანდის კიდევ ერთი გამაოგნებელი შემთხვევა აღმოვაჩინეთ.

კერძოდ, სკოლის მისაღებში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას (მაგალითად 42 სკოლაში, ვუკოლ ბერიძეზე) ევროსაბჭოს ქარტიის შტამპითა და დავალებით გაკრულია ლამაზი, ფერად-ფერადი აფიშა-კომიქსი, სადაც არც მეტი და არც ნაკლები, ღლისით მზისით, მაღალფარდოვანი ტერმინების "დემოკრატია და ადამიანის უფლებების ქვეშ", ქალისა და მამაკაცის აღმნიშვნელი სიმბოლოების გვერდით გამოსახულია ტრანსგენდერის აღმნიშვნელი სიმბოლოც.

### განგაშის ზარები…

ერი და ბერი უნდა აღდგეს და მთელი სიმკაცრით მოსთხოვოს პასუხი ხელისუფლებას, რათა მათ ვერ გაბედონ როგორც ერთის მხრივ, ამ სიბილწის რეკლამირების ხელშეწყობა, ასევე იმ ყველაზე ბოროტი იდეოლოგიის სახელმძღვანელოების შემოტანა, რომლებიც მთელ მსოფლიოში და ამჟამად საქართველოშიც, ტოლერანტულობისა და განსხვავებულობის შემწყნარებლობის ნიღბის ქვეშ, სინამდვილეში ჩვენ შვილებს ეროვნებათა, კულტურათა, სარწმუნოებათა და სქესთა აღრევით ემუქრება.

P.S.

საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, კატეგორიულად მოვითხოვთ თქვენგან, რათა არ დაუშვათ და აკრძალოთ როგორც ამ უბინძურესი გარყვნილების, მამათმავლობის დამნერგავი და სარწმუნოებისა და ეროვნული იდენტობის შეურაცხმყოფელი იდეოლოგიით გაჟღენთილი ახალი საგნების "მე და საზოგადოება" და "ჩემი საქართველო"-ს ახალი ვერსიის შემოტანა საშუალო სკოლებში, ასევე ამ სიბილწის ნებისმიერი ფორმით პროპაგანდაც.

ჩვენი ვალია დავიცვათ ჩვენი შვილები, რათა ისინი სულით და ხორცით ჯანსაღნი, წესიერნი, ზნეობრივნი, სამშობლოს მოყვარულნი და ღვთისმოსავნი გაიზარდონ.

გურამ ფალავანდიშვილი - **ფილოლოგი**

ელდარ შენგელაია - **რეჟისორი**

ჯანსუღ ბაგრატიონი - **საზოგადო მოღვაწე**

ლევან სალუქვაძე - **მოქანდაკე**

ლევან ვასაძე - **ბიზნესმენი**

გურამ გეგეშიძე - **მწერალი**

მამუკა ჩარკვიანი - **კომპოზიტორი**

ოთარ ლითანიშვილი - **რეჟისორი**

არჩილ არველაძე - **ფეხბურთელი**

გოჩა ჯამარაული - **ფეხბურთელი**

მალხაზ თავართქილაძე - **ცისფერი ტრიო**

გიორგი ლომთათიძე - **ანსამბლი შვიდკაცა**

ნონა გაფრინდაშვილი - **ჭადრაკის დედოფალი**

ზურაბ ყიფშიძე - **მსახიობი**

გიორგი გურგულია - **მსახიობი**

ლაშა თაბუკაშვილი - **მწერალი**

ირაკლი მეძმარიაშვილი - **საზოგადოება "თბილისელი"**

მაია ჩიბურდანიძე - **მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში**

რეზო ამაშუკელი - **პოეტი**

ელიზბარ ჯაველიძე - **საზოგადო მოღვაწე**

ზაზა მიმინოშვილი - **ანსამბლი "შინი"**

ნანი ბრეგვაძე - **მომღერალი**

ზაზა ნიშნიანიძე - **ბიზნესმენი**

გიორგი დონაძე - **ეროვნული ფოლკლორული ცენტრის დირექტორი**

მერაბ ბერძენიშვილი - **მოქანდაკე**

გიგა ბათიაშვილი - **არქიტექტორი**

ომარ მხეიძე - **მოცეკვავე, საზოგადო მოღვაწე**

ია მუხრან-ბაგრატიონი - **საზოგადო მოღვაწე**

ერეკლე საღლიანი - **პოეტი**

ვაჟა ოთარაშვილი - **პოეტი**

ნინო სალუქვაძე - **ოლიმპიური ჩემპიონი**

ანზორ ერქომაიშვილი - **მუსიკოსი, საზოგადო მოღვაწე**

რობერტ გოგოლაშვილი - **ანსამბლი "თბილისი"**

ჯემალ ჭკუასელი - **"ერისიონი"**

გიგი დედალამაზიშვილი - **"მგზავრები"**

ფრიდონ სულაბერიძე - **მოცეკვავე, ქორეოგრაფი**

ლალი ბადურაშვილი - **მსახიობი**

ვაჟა აზარაშვილი - **კომპოზიტორი**

(გაგრძელება გვ.7)

# ახალი საგანი, რელიგია და საზოგადოების პროტესტი

(მეექვსე გვერდიდან)

კიაზო ფიცხელაური - **აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**
გიორგი კვესიტაძე - **მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი**
როინ მეტრეველი - **ისტორიკოსი, აკადემიკოსი**
თამაზ ჭილაძე - **მწერალი**
გოჩა სვანიძე - **რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი**
დავით შემოქმედელი - **რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი**
მარიკა კვალიაშვილი - **კომპოზიტორი**
ნუნუ დუღაშვილი - **კომპოზიტორი**
დიმიტრი ლორთქიფანიძე - **უფლება დამცველი**
ზვიად ტომარაძე - **დემოგრაფიული ფონდი**
თამაზ გამყრელიძე - **აკადემიკოსი**
იური ჩიქოვანი - **გენეოლოგი, აკადემიკოსი**

წერილს მკითხველებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, პეტიციის ავტორების ბრალდებებს განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე გამოეხმაურა. გადაცემა 2030-ში მიწვეულმა მინისტრმა განაცხადა, რომ ახალი საგნის სტანდარტის შემუშავებაზე კონსულტაციებს საპატრიარქოსთან ერთად გადიან, და საგნის არცერთ ვერსია არ გულისხმობს სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერების გადაგვარებაა და აღრევაა.

**თამარ სანიკიძე:** "ამ ეტაპზე საგნის სტანდარტი თითქმის მომზადებული და დასრულებულია. საბოლოო კონსულტაციებს გავდივართ საპატრიარქოსთან. სწორედ იმ საკითხების გამო, რომელიც შეეხება რელიგიისა და ოჯახის თემას. უფრო მეტიც, რელიგიის თემა იყო ის ნაწილი, რომელზეც მსჯელობა კვლავ გრძელდება და ბოლომდე ვერ გადავწყვიტეთ ამ ასაკობრივ ჭრილში, ის საკითხები, რასაც გვთავაზობს საპარტიარქო იქნება თუ არა მისაღები, რაც ნიშნავს, რომ შეიძლება საერთოდ ვერ მოხვდეს ამ ახალ საგანში და ის დარჩეს როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლები.

ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ თუ ასეთი ინტენსიური მუშაობა მიდიოდა, მაპატიოს საზოგადოებამ და თუ საპატრიარქო, განათლების სამინისტრო სიტყვასიტყვით გადის ამ სტანდარტს, რატომ ვერ აღმოაჩინა ამ სტანდარტში ისეთი სიტყვები, როგორიც არის "მამათმავლო","უსაფრთხო სექსი", "იდენტობა" და ა.შ. უფრო მეტიც, როდესაც აკეთებენ განცხადებას, რომ პირველად ვერსიაში იყო გარკვეული საკითხები, რომელიც ეჭვს ბადებდა და ასახელებენ ისევ და ისევ ამ თემებს, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ყველა ვერსია მაქვს და არცერთ ვერსიაში მსგავსი არაფერი არ წერია.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივ მეცნიერებზე მუშაობა მიმდინარეობს, დამთავრდება და მივიღებთ ისეთი სახით, რის მიხედვითაც შევძლებთ წესიერი ლიტერატურის შექმნას, მასწავლებლის მომზადებას, გზამკვლევების დამუშავებას და ა.შ. ამ სპეკულაციას თავი უნდა დავანებოთ, სირცხვილია, იმ ადამიანებს, რომლებიც გულანთებულები ლაპარაკობენ რელიგიის სახელით, ავიწყდებათ, რომ ჩვენი რელიგია კრძალავს ტყუილს და ცილისწამებას".

## გამოსათხოვარი

### ჯემალ ყოჩიაშვილი



76 წლის ასაკში, ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის გამო, გარდაიცვალა ჯემალ ყოჩიაშვილი. დედოფლისწყაროს საზოგადოებას გამოაკლდა კიდევ ერთი რაფინირებული ინტელიგენტი ადამიანი, რომელიც თავისი შინაგანი ბუნებით და გაზრდილობით გამოირჩეოდა გარშემომყოფთაგან: - ზრდილი, წესიერი, პატიოსანი, კეთილი და შრომისმოყვარე. მან მეტად საინტერესო ცხოვრების გზა გაიარა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძო და მიიღო სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია მევენახეობა-მებაღეობა-მებოსტნეობის განხრით. პირველი შრომითი ნათლობა ჯაფარიძის კოლმეურნეობაში ერგო წილად და სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი, მებოსტნეობაში გამორჩეულად მაღალი მოსავლის მიღების გამო, მოსკოვში სოფლის მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე მიავლინეს. ეს დიდი სტიმული იყო მისთვის. მერე მეღვინეობით დაინტერესდა და ჯერ წითელწყაროს, შემდეგ კი ქვემო ქედის ღვინის ქარხნებში მუშაობდა მეღვინე-ტექნოლოგად. ხანრძლივი დროის მანძილზე მოუწია სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოში აგრონომად მუშაობა და იმ რთულ და ქაოსით მოცულ წლებშიც კი თავდაუზოგავად ცდილობდა, მხარში დასდგომოდა ახალი ცხოვრების კატაკლიზმებით დაბნეულ ადამიანებს და სწორი გზა ესწავლებინა. ცხოვრების ბოლო ათწლეული საკუთარ მეურნეობას უძღვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი ნიკა ყოჩიაშვილის ოჯახში უზრუნველად გაზრდილი ყმაწვილი იყო, დაუჯერებელი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, პატარა საოჯახო ფერმა ჰქონდა და მისი ჯანსაღი პროდუქციით ათეულობით პატარა გაიზარდა, ხშირად გაავსებდა ხოლმე ვედროს ახალთახალი რძით და მეზობლად მდებარე საბავშვო ბაღის ბავშვებს გულწრფელი სიალალით უწილადებდა. სხვა კუთხითაც არ იშურებდა ქველმოქმედებას. ის, როგორც მწიგნობართა ასოციაციის წევრი, ამ ორგანიზაციის მიერ მოწყობილ არაერთ ღონისძიებას აფინანსებდა.

ოჯახი ხომ მისი ცხოვრების მთავარი აზრი იყო. უმშვენიერეს და უერთგულეს მეუღლესთან ნელი შოშიაშვილთან ერთად სამი ქალიშვილი ნინო, ნანა და ელზა გამოზარდა. ოთხი შვილიშვილიც დააფრთიანა და მათზე ზრუნვით ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. წავიდა და ნათელი კვალი დატოვა თავისი კეთილშობილი ცხოვრების წესით. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს.

მეგობრები და ახლობლები

## მონატრება

### ირმა ჩიტაური



შენ, ჩვენო მშვენიერო ირმა, ამ ქვეყნიდან ნაადრევად წახვედი და დიდი ტკივილი მოგვიტანე. მხოლოდ 38 წელი იცოცხლე... უილბლოდ წავიდა შენი ცხოვრება. ლამაზი გოგო იყავ და საშუალო სკოლის დამთავრებაც კი არ დაგცალდა, მოგიტაცეს, მაგრამ პირველი ოჯახი მალევე დაგენგრა. თუმცა, ერთი დიდი ბედნიერება – შენი ერთადერთი ქალიშვილი-ანა დაგრჩა საზრუნავად ამ ცხოვრების მიზნად. მერე ცხოვრება აირია, გაჭირდა და შენც ისე, როგორც ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ, საზღვარგარეთ არჩიე წასვლა. შვილთან ერთად საბერძნეთში წახვედი, იქ კვლავ დაოჯახდი, შვილიშვილიც შეგეძინა. შენი პატარა ლუკას ამქვეყნად მოსვლამ სულ დაგიამა ცხოვრების სიავით მიყენებული ტკივილები. თავს გევლებოდა შენი ბერძენი მეუღლე და „ღმერთის საჩუქარს“ გეძახდა. ბედისწერამ კი ბოლომდე გახარება არ გაცალა.განუკურნებელმა სენმა ხელი დაგრია და შენი საშველი არსაით იყო, ყოველგვარი მცდელობა შენი გამოჯანმრთელებისა ამაო გამოდგა. სულთმობრძავს მოგისწრო დედამ, ორი კვირა გეფერა და მის ხელში დალიე სული. ვერ მიგიბარა მშობლიურმა მიწამ . შენ, მეუღლის დაჟინებული თხოვნით, საბერძნეთში დაიდე საბოლოო ბინა. დღეს შენს სამუდამო განსასვენებელს, მეუღლესთან ერთად, დედა, შენი შვილი და შვილიშვილი ევლებიან თავს. იძინე მშვიდად, ჩვენო საყვარელო ირმა, ლოცვა და სანთელ-საკმეველი არ მოაკლდება შენს სულს, უფალს ვევედრებით, სასუფეველი დაგიმკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

**მშობლები:** გურამი და ციური,
**ძმა** გია, **და** ფიქრია ჩიტაურები ოჯახებით.

## ხსოვნა

### ოფელია ბორანიანი



შენ, სოფელ ჯაფარიძეში, ზინა ბორანიანის მრავალშვილიან ოჯახში იზრდებოდი და ყველასგან გამოირჩეოდი შენი კეთილშობილებით, სიყვარულის დიდი უნარით და ერთგულებით. ჩვენ თერთმეტი წელი ერთად ვსწავლობდით სოფლის საშუალო სკოლაში. საუკეთესო მოსწავლე იყავი, ყოველი ჩვენგანის იმედი გაჭირვების ჟამს:- არასოდეს იშურებდი ენერგიას შენი ცოდნა ჩვენთვისაც გაგენაწილებინა. ამიტომ, კლასში ყველას ძალიან გვიყვარდი. სკოლის დამთავრებიდან მალევე, 19 წლის ასაკში, გათხოვდი. თბილისში შენს მეუღლესთან გივი ავაქოვთან ერთად 9 წელი სიამტკბილობასა და სიყვარულში იცხოვრე, მაგრამ დაუნდობელი ყოფილა ბედისწერა- 29 წლის ასაკში, მძიმე სენით შეპყრობილმა, ეს ქვეყანა დატოვე და ყველას გული დაგვწყვიტე- ახლობლებს, მეგობრებს. შენმა მშობლიურმა სოფელმაც მწარედ დაგიტირა, რადგან მათ მეხსიერებაში შენ მხიარული, სიცოცხლით სავსე, ლაღი გოგონა იყავი, რომელსაც დედაქალაქში ცხოვრების დროსაც არ დაგვიწყებია მეზობლები და მეგობრები. შენი გარდაცვალებიდან 20 წელი გავიდა. შენი ერთადერთი ქალიშვილი - თამარ ავაქოვი უკვე დიდია, მაგრამ არ ავიწყდება საყვარელი დედა, რომელიც მის ბავშვობაში დარჩა. არ გვავიწყდები არც ჩვენ, შენს თანაკლასელებს და მეგობრებს. 14 თებერვალს ჩვენ გაგიხსენებთ 20 წლის წინ დაკარგულ თანაკლასელს, დაგინთებთ სანთელს და უფალს შევავედრებთ შენს სულს,გავამხნევებთ შენზე დარდში დაბერებულ ზინა დეიდას, რომლის თვალზეც ცრემლი არ შრება.

გვიყვარხარ და გვახსოვხარ.

**შენი თანაკლასელები:** ქეთინო, ლალი, ნინო, კობა, სოსო, ბესო, აბიკო.

---

მეუღლე ნელი შოშიაშვილი; შვილები: ნინო, ნანა, ელზა; სიძეები: გიორგი ოზბეთელაშვილი, გოჩა ღვინიაშვილი; შვილიშვილები: დაჩი, ანუკი, ნია, ლიზიკო; ძმისშვილები: ნიკო, კოტე, ქეთინო ოჯახებით იუწყებიან
ჯემალ ყოჩიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 თებერვალს, დღის 1 საათზე ქ. დედოფლისწყაროში, 9 ძმის ქუჩა N1.

---

მეზობლები: ზურაბ კბილცეცხლაშვილი, ლეილა გოგოშვილი, ირა ზელენსკი, ცირა ჯამასპიშვილი, მზია გურგენიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნელი შოშიაშვილის ოჯახს
ჯემალ ყოჩიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები: მზია ხატიაშვილი, ოლიკო კიკილაშვილი, ლალი აბაშიძე, ჯულიეტა წივილაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნელი შოშიაშვილს მეუღლის
ჯემალ ყოჩიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები: ლუიზა ბასილაშვილი, კახა ჯალიაშვილი, მარინა ბუწაშვილი, ელგუჯა ტუხაშვილი, კობა ალულიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნელი შოშიაშვილის ოჯახს
ჯემალ ყოჩიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ადმინისტრაცია თანაგრძნობას უცხადებს ნელი შოშიაშვილ-ყოჩიაშვილს მეუღლის
ჯემალ ყოჩიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ნაირა გომელაური და თამუნა ჯანიკაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნელი, მაკო, ნაზული შოშიაშვილებს, ნინო, ნანა, ელზა ყოჩიაშვილების ოჯახებს
ჯემალ ყოჩიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ნელი ღვინიაშვილის ოჯახი იუწყება
ჯემალ ყოჩიაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მათ ოჯახს.

---

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ნანა ჭიჭინაძე, გურამ ნათელაძე, ჯემალ კვანჭილაშვილი, მერაბ რობიტაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან სამმართველოს მთავარი სპეციალისტის
ჯემალ ნიკოლოზის ძე ყოჩიაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქ.დედოფლისწყაროს N2 საშუალო სკოლის 1989 წლის კურსდამთავრებულები და მათი მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ პირველ მასწავლებელს ნელი შოშიაშვილს მეუღლის
ჯემალ ყოჩიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

შვილები: კოლია, ვერონიკა, ალბინა; სიძეები, შვილიშვილები, დისშვილი მერაბ იაშვილი, ბიძაშვილები: თენგიზ ელიზბარაშვილი, ანზორ კირვალიძე ოჯახებით იუწყებიან
ჯემალ (ტარიელ) ელიზბარაშვილის
გარდაცვალებას.

---

უახლოესი მეზობლები: ზურა ჯორკოშვილი, გერსკომ ავსაჯანიშვილი, შოთა ნათელაშვილი, ფატი და ლუიზა ზურაშვილები, მევლუდ გიგოლაშვილი ოჯახებით თანაგრნობას უცხადებენ კოლია, ვერონიკა, ალბინა ელიზბარაშვილებს მამის
ჯემალ (ტარიელ) ელიზბარაშვილის
გარდაცვალების გამო.

# სიყვარულს არ უხდება ზედმეტი მანიფესტირება...

უკვე წლებია, 14 თებერვალს ვალენტინობას -სიყვარულის დღეს აღნიშნავენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამ დღეს, ტრადიციულად, ერთად ატარებენ შეყვარებულები და მინიმუმ, ყვავილებს ჩუქნიან ერთმანეთს. ჩვენთან 15 აპრილსაც სიყვარულის დღედ მოიხსენიებენ. სიყვარულის დღეს, ჩემი სუბიექტური აზრით, დაწესება არ უნდა, შეყვარებული ადამიანისთვის ყოველი დღე სიყვარულისაა და მას განსაკუთრებული აღნიშვნა არ უნდა სჭირდებოდეს, მთავარია, მისი გამოხატვა შეგეძლოს რაც შეიძლება ხშირად. ჩვენ დავინტერესდით, რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჩვენი საზოგადოება ვალენტინობის დღესასწაულს და ზოგადად, სიყვარულის დღეს, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის თანამოქალაქეებთან ჩავატარეთ გამოკითხვა და ასეთ რეალობას შევხვდით:



-დალი, **34 წლის,-** ჩემი აზრით, მამაკაცებს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოთ სიყვარულის აღნიშვნა სასურველი და საყვარელი ქალბატონებისთვის, ჩემი მეუღლე სულ მანებივრებს, როგორც დღესასწაულებზე, ისე ჩვეულებრივ დღეებში, არ ეზარება სიურპრიზების მოწყობა, მეც, ჩემი მხრიდან, ვცდილობ, არ მოვაკლო ყურადღება და მაშინვე უკან დავუბრუნო მისგან მიღებული დადებითი ემოცია...

-ქეთი, **23 წლის**-მე და ჩემს შეყვარებულს ყოველდღე სიყვარულის დღე გვაქვს, არ მიგვაჩნია საჭიროდ მისი განსაკუთრებულად გამორჩევა, არც ვალენტინობას არ ვთვლი დღესასწაულად...

-დათო, **40 წლის,-** ჩვენს ოჯახს ნამდვილად არ აქვს იმის ფუფუნება, რომ სიყვარულის დღეები ცალკე გამოვყოთ და ერთმანეთს საჩუქრები გავუკეთოთ, ამას არ სჭირდება ზედმეტი ყურადღების გამოხატვა, ის ყოველდღიურ ურთიერთობებში ისედაც კარგად აისახება...

„მე ჩემი ცოლი თოთხმეტშიც და ყოველდღე მიყვარს,
არ ვუსურვებდი განსხვავებულ ფერებას არვის,
ასეც იქნება სიბერემდე და ვამლევ სიტყვას,
განსაკუთრებით არასოდეს შევხედავ ამ რიცხვს...“

-თათია, **17 წლის,** -მე არ მყავს შეყვარებული, მაგრამ, ვთვლი, რომ სიყვარულის დღეების აღნიშვნა გამორჩეულად და ხაზგასმით, მაინც კარგია... ამით არაფერი დაშავდება, პირიქით...

***ძალიან აღარ გავაგრძელებთ ამ თემას, ძვირფასო მკითხველო, ჩვენ გასულ წლებში არაერთხელ გავაშუქეთ ეს საკითხი, ახლაც, ხალხის აზრის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სიყვარულს არ უხდება ზედმეტი მანიფესტირება, ის მოსიყვარულე ადამიანის თვალებში ნათლად ამოიკითხება, მას მხოლოდ გაფრთხილება სჭირდება.***

ელზა ხარაშვილი

# „მიჯნურობა არის ტურფა“...

-„სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?“-ამბობდა მეცხრამეტე საუკუნის პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე. -„ჰოი, დიდ არს სიყვარული და ყოვლისა სათნოებისა უაღრესი და ყოველთა მადლითა უდიდებულესი და ყოველთა კეთილთა უკეთესი და ყოველთა პატიოსნებათა უწარჩინებულ!“-ამბობდა მეჩვიდმეტე საუკუნის მწერალი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი. - „რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო ღრმაა მისი სიყვარული!-“ამ სიტყვებს კი, მრავალი ფერწერული შედევრის ავტორი ლეონარდო და ვინჩი წერდა. მიმაჩნია, რომ ყოველი საუკუნის გამონათქვამი სიყვარულის თემაზე შეუდარებელია და მას დრო ვერაფერს აკლებს. რაც უნდა ვთქვათ მითიურ გრძნობაზე და როგორადაც უნდა ავხსნათ, მასზე გამონათქვამები არასოდეს ცვდება, ისევე როგორც თავად ეს უდიდესი გრძნობა. მას, ვისაც სიყვარული არ განუცდია, უბედურ ადამიანად თვლიან. რეალობაში სიყვარული სულის დღესასწაულია, ენითაუწერელი ემოციაა, რასაც საზღვრები არ გააჩნია, რომელსაც, როდესღაც ცხოვრების ყოფითობა აფერმკრთალებს, განცდილი ემოციები კი, რჩება ულამაზეს მოგონებებად. 14 თებერვალს კათოლიკურ სამყაროში ვალენტინობა ანუ სიყვარულის დღე აღინიშნება, რომელიც ჩვენს ახალგაზრდებშიც მოდური გახდა. მართლმადიდებლური სამყარო არ აღიარებს ამ დღესასწაულს, ამბობენ იმასაც, რომ სიყვარულს განსაკუთრებული დღის აღნიშვნა არ სჭირდება და ყოველი დღე სიყვარულისააო. უბრალოდ ეს ის დღეა, როდესაც ადამიანები ყვავილებს ჩუქნიან ერთმანეთს და ყოფითი პრობლემებით გადატვირთულები იხსენებენ, რომ არსებობს ასეთი გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვიაო. თუ რას ფიქრობენ სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანები ამ გრძნობაზე, რა არის მათი აზრით სიყვარული, ცვდება თუ არა ეს გრძნობა ცხოვრების რომელიმე ეტაპზე და თუ ცვდება სიყვარული, რა იწვევს ამას და რით შეგვიძლია მისი გადარჩენა? ვნახოთ, რას გვპასუხობენ ადამიანები ჩვენს მიერ დასმულ კითვაზე.

თეიმურაზ პოპიაშვილი, **გარემოს დამცველი,** -„ფარული კამერაა? ამ თემაზე ზოგადად საუბარი, ალბათ, არასწორი იქნება, იმდენად ინდივიდუალურია. ალბათ, ბერდება და კვდება კიდეც მიუხედავად იმისა, რამდენად ძლიერი იყო დასაწყისში.

ზვიად ჯავახიშვილი, **საკრებულოს თავმჯდომარე**, -„სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ,- ამბობს მოციქული პავლე. ვისაც ნამდვილი სიყვარული გამოუცდია, მას უგემია თავად სიკვდილიც, „ან თუ ღმერთია სადმე ამქვეყნად სიყვარულია ალბათ ის ღმერთიც“- კონსტანტინე გამსახურდია.

ელენე ღარიბაშვილი, **კულტურის მუშაკი,** -„მოგესალმებით და წინასწარ გილოცავთ ვალენტიბობას. მე ამ საკითხში ექსპერტად ალბათ ვერ გამოვდგები, მაგრამ მაქვს ჩემი მოსაზრება: ჭეშმარიტი სიყვარული არის მთელი რიგი გრძნობების ერთობლიობა, რომელიც ეფუძნება ურთიერთმოწონებას, ურთიერთპატივისცემას, ურთიერთგაგებას, ერთგულებას, ზნეობას. სიყვარულს აქვს განვითარების სხვადასხვა ფაზები (სტადიები), რომელთა სიღრმე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია შეყვარებულთა სულიერ განვითარებაზე, მათი აზროვნების სიღრმეზე, ცხოვრების წესზე, ზნეობაზე. ჭეშმარიტი სიყვარული არ კვდება. გადადის სხვა სიბრტყეზე და გრძელდება ადამიანის ცხოვრების მანძილზე. სიყვარულს, ისევე როგორც სათუთ ნერგს, მუდმივი ზრუნვა და მოვლა ესაჭიროება ორივე მხრიდან. მე ვიცნობ არა ერთ წყვილს, რომელთა სიყვარულის ისტორიაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მივედი ამ დასკვნამდე.

მერი საბიაშვილი, **ეკონომისტი, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი,** - „ჩემს შემთხვევაში არც მომკვდარა და არც გაცვდა, პირიქით ყოველი ახალი დღე ვცდილობთ გავულამაზოთ ერთმანეთს. სიყვარულს მოვლა, მოფერება, ზრუნვა სჭირდება. სხვადასხვა სიურპრიზებით და თბილი, ლამაზი სიტყვებით ვინარჩუნებთ ჩვენს ოჯახს და სიყვარულსაც. ღმერთმა უსიყვარულოდ არავინ არ დააბეროს, ყველაზე ნაზი და სათუთი გრძნობაა ცხოვრებაში.

ჟანა დიდებაშვილი, **ჟურნალისტი** -„მე მგონია, რომ სიყვარული ინდივიდუალურია და მას ერთნაირი სიმპტომატიკა არ გააჩნია. ვიღაცას თავდავიწყებით შეუძლია ამ გრძნობაში ჩაიძიროს, ვიღაცას ზედაპირულად. ანუ რამდენი ადამიანიცაა, იმდენნაირი შეიძლება იყოს სიყვარული. პირადად მე მიმაჩნია, რომ სიყვარული მარადიული მაშინ არის, როდესაც ის განუხორციელებელია, ანუ ან შეუღლებით ან პარტნიორული ურთიერთობით არ დამთავრებულა. დანარჩენ შემთხვევაში ის შეჩვევა და პატივისცემაა მეორე ადამიანის მიმართ, რომელთანაც წლები საერთო თანაცხოვრება და საერთო ინტერესები გაკავშირებს. სიყვარული ხშირად ქრება და კვდება, ამის მიზეზიც მრავალგვარია. სიყვარულის გადარჩენა კი შეუძლებელია, რადგან თუ ერთი ადამიანის გული გაცივდა და მეორე მის გათბობას ცდილობს, სულ ამაოდ, გაფერმკრთალებულ გრძნობას აღარასდროს არ დაუბრუნდება ის ფერები, რაც ქონდა. ასეთ შემთხვევაში მოჩვენებითი ხდება ემოციაც და გრძნობაც, რაც ერთერთისთვის სასჯელად იქცევა. სიყვარული მაშინ არის ლამაზი, როცა ის ორმხრივია და გულწრფელი. დანარჩენ შემთხვევაში გარემოებებისადმი შეგუება და შვილების წინაშე აღებული პასუხისმგებლობაა, ან სულაც საზოგადოებისადმი ანგარიშის გაწევაა. ასე, რომ, ჩემო კარგებო, „სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადიო“ - ამბობდა ,,შერეკილებში” ბიძია-ბაბუა. თუმცა, საბედნიეროდ, სიყვარული, როგორც გრძნობა, მარადიულია და სამყაროს დასაბამიდან დღემდე ვერავინ დაადგინა ეს ავადმყოფობაა თუ ბედნიერება. ერთი კია, ძალიან ლამაზია ის დრო, როდესაც გიყვარს ან უყვარხარ და გიხარია. ყველაფერი გეხალისება და გელამაზება. გული მღერის და სული გაფრენად მზად არის.

სოფიო მენთეშაშვილი, **სტუდენტი,** - „არსებობს ისეთი რამეები ამ სამყაროში, რომლებსაც სიტყვებით ალბათ ვერ გადმოსცემ. ასეთი რამე მგონია მე სიყვარული. თქვენ ალბათ ქალ-ვაჟის სიყვარულს გულისხმობთ, მაგრამ მე გეტყვით, რომ სიყვარულის მხოლოდ ამ ჩარჩოში მოქცევა დანაშაული იქნებოდა. სიყვარულია ყოველი გათენებული დილა, ყოველი მზის ამოსვლა, ადამიანის ყოველი ღიმილი, თითოეული თბილი სიტყვა, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ წარმოვთქვამთ. სიყვარული არის ღმერთი. ბედნიერება არის უფალში მყოფობა და ყოველგვარი ეგოიზმისგან გათავისუფლება. სიყვარული არის სხვა ადამიანისთვის თავგანწირვის უნარი, დახმარების ხელი, რომელსაც სრულიად უცხო ადამიანებს გავუწვდით ხოლმე ხანდახან. სიყვარულია ძალიან, ძალიან ღრმა ტკივილის შეგრძნებაც გულში, რომელსაც სხვისი უბედურების გამო გრძნობ. “მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებულიო,”- ვაჟა-ფშაველა წერდა. პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ასეა. და მაინც მე სიყვარული მგონია სხვებისთვის ცხოვრება, მათ ბედნიერებაზე ზრუნვა, მათი ტკივილისა და საიხარულის გაზიარება, მოსმენა, თანაგრძნობა. ჭეშმარიტი სიყვარული არასოდეს კვდება და გრძელდება მარადისობაში, მარადიულ სიხარულში გადაიზრდება. ყოველი ჩვენგანის ვალია, რომ გავამრავლოთ სიყვარული, მოვიმზადოთ გული იმისთვის, რომ იქ ღმერთი შემოვუშვათ. „ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთის ნაზამთრალი თვალებიდან გაზაფხული მოვიყვანოთ!”

თამარ მჭედლიშვილი, **ბიოლოგი,** -„მე სიყვარულის არ მჯერა, იმედგაცრუებული ადამიანი ვარ, რომელსაც მიმაჩნია, რომ სიყვარული ფრთბშესხმული ოცნებაა, მაგრამ როდესაც ოჯახს ვქმნით, მეტად ვლინდება თუ როგორ შეუძლია ოცნებას რეალურ ცხოვრებაში მიწაზე დაშვება და დანარცხება.ჩემი აზრი ამ გრძნობაზე ძალიან უიმედოა.

ია ხოსიტაშვილი, **შსს- თანამშრომელი.** —„როდესაც გიყვარს, მზე სხვანაირდ ანათებს, დედამიწა სხვანაირად ბრუნავს, ყველაზე ცივ და სუსხიან ამინდშიც კი გვთბილა, რადგან ეს გულიდან წამოსული სითბოა. ჩემი აზრით სიყვარული ის გრძნობაა, რომელსაც სიტყვით ვერ გამოხატავ, ამაზე შეგიძლია საათობით ილაპარაკო, მაგრამ საბოლოო დასკვნამდე მაინც ვერ მიხვიდე. ბევრი ამბობს სიყვარული ვერ დამაბრმავებსო, იმასაც კი გეგმავენ, როდის შეიყვარონ, მაგრამ სიყვარული უეცრად მოდის, ერთხელ და სამუდამოდ შემოდის და ისე მყარად იკალათებს ადგილს შენს გულში, რომ იქიდან ვერანაირი ძალით ვერ გამოიყვან და ის სიცოცხლის ბოლო ამოსუნთქვამდე შენთან დარჩება. ჩემი აზრით არაფერი შეედრება იმას, რასაც სიყვარული და საყვარელი ადამიანი ჰქვია. ამ დროს ყველაზე მცირედიც გვიხარია .როდესაც გიყვარს ის შენთვის მზეა, რომელიც გათბობს, წყარო, რომელიც წყურვილს გიკლავს, ჰაერი რომლითაც სუნთქავ, საკვები, რომლითაც იკვებები, სიცოცხლე რომლითაც არსებობ! როდესაც გიყვარს, საყვარელი ადამიანის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელი გეჩვენება და ეს ასეცაა, და თუ მართლა გიყვარს, მუდამ მზად ხარ უთხრა უამრავი ტკბილი სიტყვა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ, თუ სიყვარული განპიროვნებული არაა, და კონკრეტულისკენ მიმართული, ეს უკვე სიყვარულიც აღარააა, ამიტომ მინდა ყველას გვყავდეს გვერდით ის ადამიანი, რომელიც გვიყვარს და რომელსაც უყვარხარ და ეყვარები სიცოცხლის ბოლომდე, რათა ყოველი დილის გათენება გვიხაროდეს და ღამე მშვიდობას გვგრიდეს.

**მოამზადა** ლალი მეხრიშვილმა

## ულოცავენ!

**თეონა ღონღაძეს!**

**ლექსო მოდებაძეს!**

გილოცავთ მეხუთე შვილის- ნინოს დაბადებას. ბედნიერი და სახელოვანი ქალი გაზრდილიყოს თავის და-ძმებთან ერთადლუკასთან, ნიკოლოზთან, დავითთან და ანასთან ერთად. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები უკვე ვალმოხდილი ხართ სამშობლოსა და ერის წინაშე. გაძლიერდით და გაიხარეთ თქვენს ოჯახთან ერთად.უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ადმინისტრაცია.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 15.02 დღე | ორშაბათი 15.02 ღამე | სამშაბათი 16.02 დღე | სამშაბათი 16.02 ღამე | ოთხშაბათი 17.02 დღე | ოთხშაბათი 17.02 ღამე | ხუთშაბათი 18.02 დღე | ხუთშაბათი 18.02 ღამე | პარასკევი 19.02 დღე | პარასკევი 19.02 ღამე | შაბათი 20.02 დღე | შაბათი 20.02 ღამე | კვირა 21.02 დღე | კვირა 21.02 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 ° | 6 ° | 8 ° | 7 ° | 9 ° | 8 ° | 9 ° | 0 ° | -2 ° | -3 ° | 1 ° | -1 ° | -1 ° | -1° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.